# საერთო გაზეთი

№9 (742)
ოთხშაბათი
13 მარტი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.


## გალობანი სინანულისანი



### ანუ ფიქრები მწუხრის ჟამს

„საერთო გაზეთის“ დამაარსებელი და მისი უცვლელი რედაქტორი, ცნობილი ქართველი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ხარჩილავა 17 მარტს 76 წელიწადი შეუსრულდებოდა.

ვახტანგ ხარჩილავას საწუხარი, საფიქრალი და სადარდებელი მისი მარადიული ტკივილი, მისი სამშობლო – საქართველო იყო, რაც პოეტის ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებშიც მძაფრად არის ასახული.

ბატონ ვახტანგს დაბადების დღეს ვულოცავთ ზეციურ საქართველოში, მკითხველებს კი ვთავაზობთ ბატონი ვახტანგის 2022 წლის 2 თებერვლის წერილს, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ, როცა ის დაიწერა...

## სალომე და მისი „ქოლგა“



## „ნაცმოძრაობა“ კი არ დაიშალა... გაიშალა




# საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობა გამოხატავს შეშფოთებას ევროკავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართული ვიზიტებისა და შეხვედრების გამო, რომლებშიც, უკრაინის დელეგაციის შემადგენლობაში, ქართული მართლმსაჯულების მიერ სისხლის სამართლის დამნაშავედ აღიარებული და ძებნილი პირი, ზურაბ ადეიშვილი მონაწილეობდა.

ზურაბ ადეიშვილი იყო იმ რეპრესიული რეჟიმის ერთ-ერთი შემოქმედი, რომელიც წლების მანძილზე ფეხქვეშ თელავდა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და სასამართლოს დამოუკიდებლობას საქართველოში. აღნიშნულმა რეჟიმმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა შეიწირა.

ზურაბ ადეიშვილი მსჯავრდებულია ღვინის ქარხნის უკანონო ჩამორთმევის, ტელეკომპანია „იბერიას" ხელში ჩაგდების, კობა დავითაშვილის გატაცებისა და მასზე სასტიკი ძალადობის, პატიმრების წამების და „ქართუ ბანკის" გაკოტრების საქმეებზე, ხოლო ბრალდებულია ტელეკომპანია „იმედის" დარბევისა და მიტაცების, 2007 წლის 7 ნოემბრის ძალადობის და ბუტა რობაქიძის მკვლელობის დანაშაულის დაფარვის საქმეებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ზურაბ ადეიშვილის მასპინძლობა ძირს უთხრის აღქმას, რომ ევროპული ბიუროკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ერთგულია.

შესაბამისად, აღნიშნული მოვლენა პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული 9 პრიორიტეტიდან პირველივე პრიორიტეტის სულისკვეთებას, რომელიც საქართველოში ანტიევროპული განწყობის გაძლიერების პრევენციას ითვალისწინებს.

ანალოგიურად, ანტიევროპული განწყობების გაღვივებას ხელს უწყობს ევროკავშირის ტერიტორიაზე სხვა დამნაშავეებისა და ძებნილების თავისუფალი მიმოსვლა, რომელთა ნაწილზე არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი დღესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულებრივ ქმედებებში არიან ჩართული.

საქართველო არის ერთგული პარტნიორი და აქვს მოლოდინი, რომ მომავალში ევროპული სტრუქტურები და ბიუროკრატია გამოავლენენ მეტ გულისხმიერებას და ერთგულებას იმ ფასეულობების მიმართ, რომლებსაც ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეფუძნა.

# საქართველოს იმპერიები აქვს მონელებული!

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, — ფაქტობრივად, ასე გამოდის, ცარიელ სიტყვებად რჩება საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლის, ბატონი შალვა პაპუაშვილის შეგონებანი ე. წ. რადიკალური ოპოზიციის მიმართ. არადა, ყველაფერი ნათელია და მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება, სწორედ იმ ქვეყნის ინტერესების გამტარებელია, რომელიც ფულს აძლევს.

მარტის ამბები კარგად გვახსოვს. ასეთი ამბავი ერთი „უწყინარი" კანონის შესახებ სიტყვის დასველებამ გამოიწვია, რომელიც სტრატეგიულ მეგობარ ამერიკაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან მოქმედებს და ახლა ევროკავშირშიც მოეწონათ თურმე.

ადამიანები მეხსიერებას თითქოს არ უჩივიან, მაგრამ როცა ბოდიში და მოეპრიანებათ, არაფერი ახსოვთ. ძალიან კარგად გვახსოვს ყველას ყველაფერი და იქნებ, მეტიკვნიტობა ზედმეტიც კი იყოს.

უსასრულოდ თავი რომ გადაგვჭამეს ამ უცხო ქვეყნის აგენტებმა, წარა-მარა და სისხამზე თუ არ ვაძახეთ ერთი და იგივე, ვერ ისვენებენ. რადიკალური ოპოზიცია დაირქვეს, რასაც მოიპოხონდრიებენ, იმას გაჰკივიან და რაგინდ ჭკუადამჯდარი იყოს ამათი შემხედვარე ადამიანი, შეურაცხადს გახდიან... ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას მათ, რომ ძალიან ცუდები არიან და არა მხოლოდ ცუდები, არამედ მავნებლებიც?

საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცის და გამოვდგეთ ყველანი შარაზე?!

ცამდე მართალი იყო ბატონი პაპუაშვილი, როდესაც ე. წ. რადიკალურ ოპოზიციას შეახსენა, სად ჰქონდა პირველი ვიზიტი პრეზიდენტის რანგში ბატონ სააკაშვილს. მაგრამ რა, დაუდიათ ენაზე „პუტინის ტყვეაო" და ჩაიხვიეს. რომელი ტყვე ბატონი სააკაშვილია თავის ბიძიანად... იმდენი ვიდეომტკიცებულება გვაქვს სააკაშვილისა და რუსეთის ტრფიალისა, თვლას ვერ ავუვალთ...

„ქართულ ოცნებას" მხოლოდ ერთი დანაშაული აქვს და ისიც ვიცით, რატომ, ვისგან და რის გამო. ამდენად, სასაყვედურო არაფერი აქვს. ისწავლეს „არა"-ს თქმა და საჭიროებისდა მიხედვით ამბობენ კიდეც. არ ვაცადოთ? ერთ დღეში სოფელი არ აშენებულა და ეს დაქცეულ-გაპარტახებული საქართველო როგორ უნდა აშენდეს?

ზუსტადაც რომ უნდა თქვას ბატონმა პარლამენტის თავმჯდომარემ, რაც სათქმელია. ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ისმენს და როდესაც ადეკვატური გამოხატულება არ არის, სწყინს. დიახ, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ საქართველო გადარჩენილია გაქრობას; რომ მიუხედავად მძლავრი ზეწოლისა, სამშობლოს მოყვარულმა მთავრობამ საქართველოს ომი აარიდა! არადა, ეს ის თემაა, რაზეც მუდმივად უნდა ითქვას და დავიწყებას არ მიეცეს! აბა, ვის უნდოდა ეს ომი, რა თქმა უნდა, ისევ იმ უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებულ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, სხვაგვარად ქვეყანა საქართველო ვერ აშენდება!

რცხვენოდათ საქართველოს მშვიდობიანი ცა, რცხვენოდათ, რომ თბილისი მშვიდობის ქალაქია. არადა, საქართველოა ის ნათელი წერტილი რომელიც მსოფლიო რეიტინგში ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყნის სახელით შევიდა....

თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქვა, მუდმივად ვიღაცის საბურთაო ვიქნებით და მაშინ უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ის „ვიღაც"...

საარჩევნო სიის მიხედვით რომ ავიღოთ, ორი ადამიანი დავკინკილობთ ამ საქართველოში, მცირედი ბავშვი და მოხუცი, რა ძალგულოვნება გვჭირს ასეთი, დიპლომატია სად გვაქვს, მთლად დაგვეკარგა?

ატანა აღარ მაქვს სიტყვა „პროსუსის". იტყვი რაღაცას და მაშინვე „პრორუსად" მოგნათლავენ. არადა, დიპლომატია ყველა პრობლემის მოსაგვარებლად საუკეთესო საშუალებაა. იმ რუსს თუ არ ელაპარაკები, უნდა დაელაპარაკო.... შე კაი კაცო, თურქეთს ელაპარაკები, ისტორიულ მტერს და რუსეთთან რა ხდება? სახელმწიფოთაშორისი დამოკიდებულება ხომ ადეკვატური უნდა იყოს.



ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება თუ „პრორუსია", სადაა ჩვენი აფხაზეთი და სამაჩაბლო? ლოგიკა დავკარგეთ? მე თუ „პრორუსი" ხელისუფლება ვარ, ყველაფერი დამიბრუნდება... ხეს უძახეს, გახმი, გახმიო და გახმა... ბწკენა-ბწკენაში პატარძალი დაორსულდაო, — მრავლად გვაქვს ქართველებს ამგვარი ანდაზები და იქნებ, რომელიმე შევიმეცნოთ?

რუსეთთან სანქციების ომში რომ ვიმარჯვეთ, ისევ წიოკი ატყდა. არადა, იმდენი მოგება ნახა რუსეთმა სანქცირებული გადაყიდვებით, „ბლეუმბერგმა" ხელებიდა გაშალა უმწეოდ. ჩვენ რა უნდა გვექნა, საკუთარი თავი გაგვეუბედურებინა?

რასაც ვხედავთ, იდეალურად იქცევა მთავრობა, როდესაც იგნორირებას უკეთებს ყველაფერს, რაც საქართველოს დააქცევს. ხოლო „ლელო" იქნება თუ სხვა „ოპოზიციური ძალა", რა მნიშვნელობა აქვს — საქართველოს არცერთი არ არგია!

ელემენტარულია, აბა, გადავხედოთ, როგორ მიიღება სანქციები ევროკავშირში და ამდენ ხანს რატომ გრძელდება ამაზე საუბარი. ყველა ქვეყანა საკუთარი ინტერესების ფარგლებში მოქმედებს. მსოფლიო ხედავს, რა ხდება, რა ამბავია ატეხილი შუაგულ ევროპაში ფერმერების გამო.

ქართველებს ასეთი ფერმერებიც რომ არ გვყავს, რა ვქნათ? კასპის რაიონში ძროხა გადავიდა გზიდან და პატრონი 1000 ლარით დააჯარიმეს. — ...სირცხვილია!

როდესაც რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო, მაშინ უკრაინის ხელისუფლება მოუწოდებდა საომრად საქართველოს ხელისუფლებას, არიქა, რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსენითო. ყველანაირი მცდელობა იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ სამართებლის პირზე გაიარა!

დიდი ბოდიშის მოხდით ვიკითხავ ერთი რიგითი მოქალაქე: ცალმხრივი მეგობრობა რანაირია? ჩავიხუტეთ გულში ყველა გზააბნეული უკრაინელი და კიდევ ჩვენ ვართ ცუდები? ეს რა მეგობრობაა? ყველაფრის მიუხედავად, ისევ ისინი გამოგვენთნენ, ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი...

მაშასადამე, რა უნდოდათ ზოგიერთებს, რომ საქართველოს ადგილზე ექვსი დიდი ორმო დარჩენილიყო?...

გადავლახეთ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების რისკი და ახლა ახალი შარი, რაღაც ვეტინგი გაჩნდა... ერთადერთი საკითხი, რასაც ეს მავნებლები აყენებენ, გახლავთ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ხალხი გადავირევით. ბოლოს და ბოლოს, ხალხი ვართ! მრავალგზის მაქვს ნათქვამი — იტყვი ცუდი ხარ, არ იტყვი იდიოტი!

თქვა გარკვევით ბატონმა მდინარაძემ, რომ უცხო ქვეყნებიდან მოვლენილ პირებს არაფერი ესაქმებათ ქართულ მართლმსაჯულებასთან, მაგრამ ისინი მაინც თავისას გაიძახიან! არაფერი სჭირთ სხვათა გადასამოწმებელი ჩვენს მოსამართლეებს და თუ სჭირთ, როგორმე ჩვენ თვითონ მივხედავთ!

ოპოზიცია ითხოვს, ქართველი მოსამართლეების გადამოწმებაში უცხოელი საელჩოების მიერ დანიშნული ხალხიც ჩაერთოს. — ბოდიში და, ქვეყანა ვართ თუ გადი-გამოდი რაღაცა? ვინ ჯანდაბაა ეს ე. წ. ოპოზიცია? ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას!

ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის დამაქცევრებისთვისაც კი ვერ დაგვირქმევია კუთვნილი სახელი და ამით გათამამებულები რას არ მოგვთხოვენ გადამთიელები?

ის პრინციპი მოქმედებს, „სუკინ სინ, ნო ნაშ სუკინ სინო", მაგრამ ამასობაში კი ამოვიდა ყელში ყველაფერი!

ამ ე. წ. ოპოზიციას რომ საკუთარი ქვეყანა არად უღირს, ძნელი დასანახია? ასეთები უბეში რომ გვავს და ხმა ამოიღო, დასაძრახია?

უარესს ვიტყოდი, მაგრამ თავს ვიკავებ... წარმოუდგენელი ამბავია ჩვენ თავს და კიდევ თავს ვიკავებთ!

საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც არსებობდა, იარსებებს და ვერავინ ვერ გააქრობს!

აღარ უნდა დამთავრდეს ქართველობით და საქართველოთი სპეკულანტობა?

**მაია ჭელიძე**



# სალომე და მისი „ქოლგა“

მრავალგზის მითქვამს, რომ ხმას აღარ ამოვიღებდი იმ ქალზე, სახელად რომ საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია და „კოჭლი იხვის“ სახელით გვყავს თავსმოხვეული თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ რომ არ ჩერდება?

ვინ ეკითხება რეზიდენტ პრეზიდენტს ეკლესიის საქმეებს, ან ვისაც ინტერვიუს აძლევს, მას რა ინტერესი აქვს, რანაირად დააკავშირა ამ ქალთან საეკლესიო საქმეები, რომელი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი და ეკლესიის მრევლი ეს არის? ფეხი თუ სახელმწიფო მოხელის რანგში შეუცდა ეკლესიაში, ალბათ, გულში ფიქრობს, აქ რაღა ჯანდაბა მინდოდაო და ასეთი ქალი საქართველოს საპატრიაქოსა და პატრიაქზე ლაპარაკობს.

სიტყვა და ნანატრი ნააზრევი ერთდროულად გაექცა, თორემ რანაირად ირჩევენ ეს და მისი



თანამზრახველი მეგობრები საქართველოს პატრიარქს, როდესაც უკვე გვყავს უწმიდესი?

ან რა იმედი აქვს საქართველოს მოსახლეობისა, რა ჰგონია, რომ მოსახლეობა არჩევნების გზით ირჩევს პატრიარქს?

და ბოლოს, მაშასადამე, ჩვენი უწმიდესიც პრორუსად შეურაცხიათ უკვე?

**სალომე ზურაბიშვილი: „მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში, ახლოს არის მმართველ ძალასთან, ვიმედოვნებ, რომ ქართული ეკლესია ასევე გაჰყვება პროევროპულ რიტორიკას ოპტიმისტური და დარწმუნებული ვარ მოსახლეობაში, ასევე ვიმედოვნებ, რომ ქართული ეკლესია გაჰყვება პროევროპულ რიტორიკას და საქართველოს საპატრიარქო მოახერხებს პროევროპული და პროდასავლელი პატრიარქის არჩევას და არჩევანს არ გააკეთებს პრორუსულზე.“**

პროევროპული და პროდასავლელი პატრიარქი როგორად წარმოუდგენია ნეტავ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას რომ აკურთხებს და ლგბტ-ებს ხელის ქნევით მიესალმება? თუმცა, მისი და მისნაირების წარმოდგენით, აღდგომაც ხომ რუსულია...

საკვირველია, აკი 8 მარტიც რუსული იყო, თუმცა კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის მიერ დაარსებულ ქალთა დღეზე კი უნდა დაეჯილდოვებინა ღირსების მედლით მათი სულიერი შვილი ბაბუცა პატარაია. კაცმა რომ თქვას, ერთმა ღირსებადაკარგულმა ქალმა მეორე ღირსებადაკარგული ქალი დააჯილდოვა ორი მეძავის მიერ დაარსებულ დღეზე, ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს?

უბრალოდ, ხალხმა იცის, ვინ არის ბაბუცა პატარაია (რომელიც არ იმყოფებოდა ორბელიანების სასახლეში და ამიტომ ჯილდო ბაბუცას დედამ ჩაიბარა), როგორც აუტანელ ქალთაგან აუტანელზე აუტანელი და უღირსი, თორემ კიდევ ოთხი ქალი დააჯილდოვა სალომე ზურაბიშვილმა და მათი ხსენება არ არის, თითქოს მხოლოდ ერთი ქალი დააჯილდოვა, არადა, მათგან ერთი მაინც მართლაც განსაკუთრებულად დასაჯილდოებელია — ჟურნალისტი თამარ (თამუნა) მუსერიძე, დამფუძნებელი ორგანიზაციისა „ვეძებ“. თამარმა იმდენ ადამიანს გაუწია დახმარება და გარდაცვლილად გამოცხადებული იმდენი შვილი და მშობლები ჩაახუტა ერთმანეთს წლების შემდეგ, ნამდვილად დაიმსახურა ეს აღიარება. იქნებ არც დაეჯილდოვებინა ზურაბიშვილს თამუნა, მაგრამ ბი-ბი-სი-ს 2023 წლის ასი ყველაზე გავლენიანი ქალის სიაში მოხვდა და მას ხომ არ ჩამორჩებოდა. ახლა ისე გამოვიდა, რომ ვინც თამუნას გვერდით მოხვდა, თითქოს მათაც დამსახურებულად მიიღეს ჯილდოები.

როცა ვინმეს სჭირდება, „ხალხი ბრძენია“-ო, ამბობს და ამ შემთხვევაში სიბრძნე დაეკარგათ?

დანარჩენები ვინ არიან?

ბაია პატარაია (ორგანიზაცია „საფარი“, აღმასრულებელი დირექტორი) დაჯილდოვდა ქალთა უფლებების დაცვის, ქალთა გაძლიერების, გენდერის ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის, არაძალადობრივი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის;

ანა არგანაშვილი (უფლებადამცველი) დაჯილდოვდა ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა უფლებების დაცვის, ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის;

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ დამფუძნებლებს, ელისო ამირეჯიბს და ნატო შავლაყაძეს ჯილდო გადაეცათ გენდერის ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვის, მათ სოციალურ ინტეგრაციასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სისტემატური ცვლილებების ადვოკატირებისა და ადამიანური რესურსის განვითარებისთვის გაწეული განსაკუთრებული ძალისხმევისთვის.

საინტერესოა, პრეზიდენტის გარდა კიდევ ვის გადაუხადა მადლობა ბაბუცა პატარაიამ: „...მადლობა ჩემს თანამებრძოლებს, აქტივისტებს, ფემინისტებს, „საფარის“ ძვირფას თანამშრომლებს, ქალთა მოძრაობის წევრებს, ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წევრებს და მადლობა ჩემს უახლოეს მეგობრებს და ოჯახის წევრებს თანადგომისთვის.“




აღსანიშნავია, რომ ღირსების მედლით ჯილდოვდება პირი საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და მისი ღირსეული სამსახურისთვის.

ხალხს აინტერესებს, თამუნა მუსერიძის გარდა, რა დამსახურებისთვის დაჯილდოვდნენ აღნიშნული ქალები, — იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს საერთოდ არ გახსენებიათ დაჩაგრული ქალები, თუ იმისთვის, რომ, რაც თავი გვახსოვს, ბაბუცა პატარაია ლგბტ პირების დამცველთა წინა რიგებში იყო და იქნება, მისი მეგობრები თუ განყენებულად ფემინისტები კი თან ახლდნენ? ან იქნებ იმიტომ, რომ „თბილისი პრაიდი“ აქციების მოწყობით იმუქრება, ეს დაჯილდოებულები (ოთხი) კი ქვეყნის „აყირავების“ მსურველთა რიგებში აუცილებლად იქნებიან?

სალომე ზურაბიშვილმა ახლა რომელიმე დღე უნდა აარჩიოს „თბილისი პრაიდის“ დასაწიოკებლად განწირული მონაწილეების დასაჯილდოვებლად და აქტიური ტრანსგენდერები და გეი-აქტივისტები დააჯილდოვოს. არც საქართველოს ფარგლებსგარეთ მყოფები უნდა დაივიწყოს და სრულად შეკრავს კიდეც „ღირსეულების“ წრეს, მით უფრო, რომ თითქმის ყველა მათგანი სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დაბრუნების მხარდამჭერია.

ისეთი ღირსების ორდენის კავალრები გვყავს, მათ ფონზე ამათაც კი ეკუთვნით ერთი-ორი ჯილდო...

ამ ქალს ჭკუა კი არ დაუშლის — ისეთებს კადრულობს, პირადად მე ნამდვილად აღარაფერი გამიკვირდება მისგან.

ახალი ამბავი არ არის, რომ „თბილისი პრაიდი“ ყოველთვის მიმართავს ოპოზიციურ პარტიებს მათ ირგვლივ გაერთიანებისკენ და ისინიც სიამოვნებით ერწყმიან, სხვას კი არაფერს აკეთებენ მანამდეც, მუდმივად ლგბტ პროპაგანდით არიან დაკავებულები. რატომაც არა, როდესაც უცხოელი დიპლომატებიც და უცხოელი ე. წ. დონორებიც ერთსა და იმავე აზრზე არიან, ხოლო საკუთარი ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე მოფიქრალი ე. წ. პრეზიდენტი კი მთლად „მთავარსარდალ ქაჯად“ დაუდგა ძველ ქაჯებს.

ჯერ ხომ შარშან აქეზებდა ოკეანის გაღმიდან მარტის აქციების მონაწილეებს და, ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობისა და სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებდა და ახლა ხელს დააკლებს? უწიგნურმა ახალგაზრდებმა კი არა, წიგნიერებაზე პრეტენზიის მქონე თავმომწონე ადამიანებმა არ იცოდნენ, რაზე იყო საუბარი, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტად წოდებულმა ხომ იცოდა?!

ახლაც იგივე მდგომარეობაა. შარშან თუ „ფარას“ გამჭვირვალობის კანონი ისე ბრმად გააპროტესტებინეს, თვითონაც რომ არ იციან, ისეთ კონტინგენტს, ახლაც იმავეს გამეორება უნდათ ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონთან დაკავშირებით. საქმე გაუსკდათ, მათი, ყველას მიზანი გაცხადდა და ახლა შეატრიალეს „პლასტინკა“, დადუმდნენ ფსევდოლიბერალური პროპაგანდის წინააღმდეგ კანონპროექტთან დაკავშირებით და ფასებს აედევნენ, თითქოს ახლა გაიგეს, ზეთი რა ღირს, ან ოხრახუში...

ცალკე საკითხია საგარეო უწყებაში ევროკავშირისა და გერმანიის ელჩის მიბრძანება, სადაც მათ ოფიციალურად გადაეცათ საქართველოს მთავრობის „შეშფოთება“. უკრაინის ამბავი ყურსმილმა გავატარეთ, აქაოდა, ომში მყოფი ქვეყანააო, მაგრამ ჩვენგან გაქცეული ძებნილები რომ არხეინად შეიფარეს, მაშინ ომი არ იყო. არც ბრიუსელსა და ბერლინშია ახლა ომი და მოწიწებით იღებენ დელეგაციაში მყოფ არაერთ დანაშაულში მსჯავრდებულ ზურაბ ადეიშვილს. როდესაც ასეთი ფაქტების მიმართ ქართველი საზოგადოება გულისწყრომას გამოთქვამს, სწყინთ, ანტიევროპული განწყობა აქვთო. ანტიქართული და მხოლოდ „მიშისტური“ განწყობა ვისაც აქვს, კარგად ვხედავთ, მაგრამ ევროკავშირის ელჩი მაინც ხომ უნდა გაემიჯნოს საქართველოს მიმართ ცალკეული ევროდეპუტატების ამგვარ დამოკიდებულებას.

რასაც ვხედავთ ის არის, რომ ვისაც არ ენაღვლება, ყველა საქართველოს ემტერება. თუმცა რა გვიკვირს, საქართველოს პრეზიდენტები ემტერებიან საკუთარ ქვეყანას და ვიღაც გადამთიელები რომ გვმტრობდნენ, ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიღოთ, ალბათ...

**ზურა ოძელაშვილი**

# იწყება „დიდი ვაჭრობის“ პერიოდი, რაც ოპოზიციისთვის დამღუპველი აღმოჩნდება



*გვესაუბრება ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე*

**- წინასაარჩევნო მზადება აქტიურ ფაზაშია. ოპოზიცია სალომე ზურაბიშვილის „ქოლგის ქვეშ“ გაერთიანდა. მაინც, რა მიზნით გადაწყვიტა პრეზიდენტმა მათზე „ქოლგის გადაფარება“?**

- სალომე ზურაბიშვილის მიზანია, ზეპარტიულ ლიდერად მოევლინოს ქვეყანას და ამ პლატფორმის მეშვეობით განახორციელოს ის გეგმები, რასაც თავისი მბრძანებლები ავალებენ. შემთხვევით ხომ არ ატრიალებს ჩვენი პრეზიდენტი რუსეთის თემას? მან იცის, რომ ეს თემა კარგად მუშაობს, განსაკუთრებით უკრაინის ომის ფონზე. ზურაბიშვილს უნდა, ამ პლატფორმის მეშვეობით უპირველესად დასავლეთელ კურატორებს აჩვენოს, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტრუმენტი, ევროპული ძალების შემოსაკრებად, თვითონ არის. იმ პირობით, რომ საქართველოს არ მისცეს პროევროპული გზიდან გადახვევის საშუალება.

თუმცა, სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ ეშმაკი და ჭკვიანია იმისათვის, რომ თავი არ გამოაყენებინოს ოპოზიციას. პირიქით, უნდა, რომ ისინი გამოიყენოს სათავისოდ. ოპოზიცია კი მის გამოყენებას ცდილობს ხელისუფლებაზე ზეწოლის ერთგვარ ინსტრუმენტად. აქ, ერთი მხრივ, ინტერესთა თანხვედრაც არის, მაგრამ მეორე მხრივ, ზურაბიშვილს უნდა, რომ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, ის როლი შეასრულოს, რაც მისმა „პატრონებმა“ დააკისრეს.

წამოსულია შეკვეთა, რომ საქართველოში უნდა იყოს მრავალპარტიული პარლამენტი და კოალიციური დასავლური მთავრობა. ზურაბიშვილი გველინება ამ შეკვეთის შემსრულებლად. თუმცა, ამ ყველაფერს განსაზღვრავს არა პრეზიდენტი ან მისი „პატრონი“, არამედ - საქართველოს ამომრჩეველი.

რადგან მიშა ციხეშია და ვერანაირად ვერ მოახდენს გავლენას პროცესებზე, თანაც მას კანონით არა აქვს ამის უფლება, ეტყობა, ოპოზიციაში ვერ მოძებნეს ძლიერი ლიდერი და გადაწყვიტეს, ამ საქმისთვის ზურაბიშვილი გამოეყენებინათ. ის არის პრეზიდენტი, აქვს მოქმედების გარკვეული ბერკეტები და დასავლეთში ამ კუთხით სწორი გათვლა გააკეთეს.

**- ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქმე გვაქვს „უბედურებასთან“, რადგან ადამიანი, რომელიც პრეზიდენტობაზე ვერც კი იოცნებებდა, აქტიურად არის ჩაბმული დესტრუქციული ძალების ფერხულში...**

- „ქართული ოცნების“ რიტორიკა აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ ცოტა უხერხულადაც ჟღერს, რადგან სწორედ მათ დასვეს ეს „უბედურება“ პრეზიდენტად. როცა ადამიანი პრეზიდენტად გაგყავს, ხომ უნდა შეისწავლო ის თავიდან ბოლომდე - ვინ არის, რითი სუნთქავს, რას შეიძლება, მისგან ელოდო?!. არ ვიცი, რა პრინციპით იხელმძღვანელეს, მაგრამ მოსაზრება, რომ სალომე ზურაბიშვილი არის ემიგრანტების შთამომავალი, ღირსეული წინაპრების ოჯახიდან, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანს ამხელა თანამდებობა უბოძო.

**- პრეზიდენტმა „ღირსების მედლების“ გულუხვად დარიგება დაიწყო. ამჯერად ბაბუცა პატარაიას და ზაირა ბაირამოვას რომელი ღირსება დააფასა ზურაბიშვილმა?**

- სალომე ზურაბიშვილის ფსიქოტიპის ანალიზს არ შევუდგები, მაგრამ აღარავის უკვირს მისი წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები. ოთხმეზურის მკვლელი რომ შეიწყალა, ეს ფაქტი ექვემდებარებოდა ლოგიკას? თუნდაც უგულავას და ოქრუაშვილის შეწყალება, რაც აშკარად გარედან ჰქონდა დავალებული, ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ეს ქალი ქართველებისთვის გასაგები ლოგიკით არ მოქმედებს! მას გააჩნია საკუთარი „ლოგიკა“, რაც ქართული მენტალიტეტისთვის, ქართული რეალობისთვის უცხო და შეუთავსებელია. რას ვიზამთ! ჯერჯერობით ასეთი მოცემულობა გვაქვს და საზოგადოებაც იძულებულია, მის გამოხდომებს „კბილების კრაჭუნით“ შეეგუოს.

**- ოპოზიციაში დიდი ქაოსი და არეულობაა. ლიდერის ძიებაში შეცდომას შეცდომაზე უშვებენ და თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ. მაინც, რა შანსები აქვთ მათ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე?**

- ხაბეიშვილის თოხარიკი ცხენივით სირბილი ხან ბაზარში და ხანაც თურქეთში საბაზრო ფასების გასაგებად, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ენმ-ში მისი გავლენები მცირდება, რომ ის მხოლოდ ტიკინაა პარტიის „თავმჯდომარის“ სტატუსით.

სად, რომელ პარტიაში გინახავთ, რომ პარტიის ლიდერი დარბოდეს ისეთ საქმეებზე, რაც, წესით, მის მოვალეობებში არ შედის, რაც მის ხელქვეითებსაც შეუძლიათ გააკეთონ და ინფორმაცია მიუტანონ?! ეს ნორმალური პრაქტიკა არ არის.

ამიტომაც ვფიქრობ, ახლოსაა მოარული ხმები სიმართლესთან, რომ პარტიის ლიდერობას ნელ-ნელა, შედარებით პრეზენტაბელური, ჭიჭე ვაშაძე ჩაიგდებს ხელში. ბოლოსდაბოლოს, ინგლისური იცის და დასავლეთშიც იცნობენ!





არ გამოვრიცხავ, რომ ხაბეიშვილი არჩევნებამდე სხვა ფიგურით ჩაანაცვლონ. რადგან უკვე ძალიან კომიკური და არასერიოზულია მისი ქმედებები.

რაც შეეხება თავად პარტიას, არა მგონია, ბევრის გაკეთება შეეძლოთ, რადგან, ჯერ ერთი - პარტიაში აღარ დარჩა არცერთი ძლიერი ლიდერი. ამიტომ ითხოვენ ასე გამწარებული, სააკაშვილის გამოშვებას ციხიდან. მეორე - ნიკა გვარამიასა და მელიას მიერ პარტიების შექმნა, ფაქტობრივად, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი „ნაცმოძრაობის“ ელექტორატის ნაწილს თავისთან წაიყვანენ, რაც, რა თქმა უნდა, პარტიას დააზარალებს.

მე ვფიქრობ, რომ ეგრეთ წოდებულ პროდასავლურ ოპოზიციურ ფლანგზე ახალი პოლიტიკური მოთამაშეების ფორმირება დასრულდა. იწყება „დიდი ვაჭრობის“ პერიოდი, რაც, ჩვენი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, შესაძლოა, მათთვის დამღუპველიც აღმოჩნდეს.

**- რით შეიძლება დაუპირისპირდეს დესტრუქციული ძალების ნაბიჯებს მმართველი გუნდი?**

- უპირველესად, უნდა დაამყარონ წესრიგი სახელმწიფოში, გამოავლინონ კორუფციული შემთხვევები, რაც ჯერ კიდევ არსებობს, გააუმჯობესონ მართვა. მერამდენედ მთავრდება ფისკალური წელი ისე, რომ ბიუჯეტის საკმაოდ სოლიდური თანხები, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტზე უნდა დახარჯულიყო, აუთვისებელი რჩება. გარდა ამისა, გადახედონ საკანონმდებლო ბაზას და წინა მთავრობების დროს მიღებული კანონები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, - შეისწავლონ და შეცვალონ. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიზნესინტერესების გამო, ფარმაცევტულმა კომპანიებმა ონკოპაციენტებს, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. როდესაც ხელისუფლებამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები მედიკამენტების გაიაფების მიმართულებით, ამას მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ ხომ ხედავთ, რა მეთოდებით დაუპირისპირდა ხელისუფლების ამ ნაბიჯს ფარმაცევტული სექტორი, სადაც სამ კომპანიას აქვს მონოპოლია?! პრობლემაა ასევე, საკმაოდ ძვირი ფასები გარკვეულ პროდუქტზე. მაგალითად, კვირიკაშვილის მთავრობის პირობებში გაიზარდა საწვავზე აქციზის ფასი. შესაბამისად, ამან საწვავი გააძვირა. საწვავი რომ გაძვირდა, გაძვირდა პროდუქტის ტრანსპორტირება, რამაც აწია ფასები პროდუქტზე. ერთი მაგალითი მომყავს, მაგრამ ასეთი მაგალითი ბევრია. ამ მიმართულებით უსწრაფესად უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები მართვის და მანეჯმენტის საკითხს და გეტყვით, რომ წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი არის ცუდი მენეჯმენტის ერთ-ერთი მაგალითი. ადრეც შეიძლებოდა იმ პრობლემების დანახვა და გამოვლენა, რომელიც წლის ბოლოს გამოვლინდა, როდესაც პროექტი უკვე ჩაბარებული უნდა ყოფილიყო. არადა, კარგი მენეჯმენტი კარგი ცხოვრების ერთ-ერთი გარანტია და ის ყოველთვის აისახება ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე.

**- ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „უცხოეთის გავლენის აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ირგვლივ ხმაური ატყდა. დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ამ კანონის მიღება აუცილებელი?**

- არაერთხელ მითქვამს, რომ კანონპროექტის ინიციატორებმა შეცდომა დაუშვეს, როცა მისი გატანა ისე გადაწყვიტეს, ვიდრე აკადემიურ საზოგადოებასთან თუ სხვადასხვა პროფესიულ წრესთან წინასწარ განიხილავდნენ. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, ვიცით, სიტყვა „აგენტს“ როგორი დატვირთვა აქვს. საქართველოში ის არ გამოიყენება იმ კონტექსტში, როგორც, დავუშვათ - დასავლეთში. ამიტომაც, შესაძლებელი იყო სიტყვა „აგენტი“ სხვა ფორმულირებით შეეცვალათ. ქართული ფორმულირებით გაჯერებული კანონპროექტი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, მას ასეთი მძაფრი რეაქცია არ მოჰყვებოდა.

ახლა უკვე ევროპაშიც აპირებენ მსგავსი კანონის მიღებას, დიდ ბრიტანეთშიც და აგერ, ყოველ ჯერზე, „ფარას“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ვკითხულობთ. კანონმორჩილი ორგანიზაციები წესიერად და პატიოსნად აწვდიან მათ ინფორმაციას, თუ რა ხარჯი გაწიეს, ვისზე დახარჯეს და რამდენი. ამიტომაც „ფარას“ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ვხედავთ, თუ როგორ ქირაობენ ლობისტებს და უხდიან ფულს მათ ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლები...

და რა დაშავდება, თუ რომელიმე ადგილობრივი მდიდარი „ენჯეო“ ასევე გაასაჯაროებს ინფორმაციას, რომ იცოდეს ხალხმა, ვისზე დახარჯა, რატომ დახარჯა, რამდენი დახარჯა! მე ვფიქრობ, რომ ეს კანონი საჭიროა, რადგან სამოქალაქო სექტორის მეტი გამჭვირვალეობა არის იმის საშუალება, რომ მეტი ნდობა გქონდეს საზოგადოებაში.

**ნონა ქარქაშაძე**

# „ნაცმოძრაობა“ კი არ დაიშალა... გაიშალა



*გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილი:*

**— ბატონო სოსო, ზურაბიშვილი ჟურნალისტებს შეხვდა, სადაც აღნიშნა, ოპოზიცია არჩევნებს თუ არ აღიარებს, ეს დესტაბილიზაციის შექმნის საფუძველი გახდებაო.**

— პრეზიდენტს დიდი ხანია, გადაწყვეტილი აქვს კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ ლიდერი გახდეს. გვარამიას შეწყალების შემდეგ, რომელიც მას უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, თან, ღია ეთერში, აღარც ის მიკვირს, ოპოზიციის ლიდერობა რომ სურს და არც ის, იმ ხელისუფლებას რომ ლანძღავს, რომელმაც გააპრეზიდენტა. დიახ, პრეზიდენტი ივანიშვილის წყალობით გახდა. ჩემი პარტია, ნაცნობები, ნათესავები, მეორე ტურში მხარს მას უჭერდნენ. კაგებეს შპიონ ვაშაძეს ზურაბიშვილი ვარჩიეთ. თურმე მწარედ შევცდით.

**— ოპოზიციის გადაჯგუფებებზე რას იტყვით, რა გავლენას მოახდენს ეს არჩევნებზე?**

— ოპოზიციაში ორი ძალა გამოიკვეთა, ერთი – კოლექტიური „ნაცმოძრაობაა“. ხაზარაძემ რამდენიც უნდა იძახოს: ჩემი „მუსტანგით“ მოვდივარ, ნაცებთან საერთო არაფერი მაქვსო, ეს აბსურდია. „ლელო“ და ეს ორი თაღლითი — ხაზარაძე და ჯაფარიძე, მაინც ნაცებთან მოიაზრებიან. ასევე, მელია, გვარამია და სხვა ბევრი. „ნაცმოძრაობა“ კი არ დაიშალა, გაიშალა და ფართო ფრონტით ხელისუფლებაში მობრუნებას ცდილობს. ისინი ხელისუფლებაში არჩევნების გზით ვერასდროს დაბრუნდებიან. ამიტომაც მათ თვალი ქუჩისკენ, არეულობის მოწყობისკენ უჭირავთ. დესტაბილიზაციას ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გეგმავდნენ, ეგონათ, კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებდით, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ახლა შემოდგომისთვის ემზადებიან, რასაც დასავლეთის სერიოზული, ფინანსური ძალები უჭერენ მხარს.

თუმცა, ფული არც თავად ნაცებს და მის განშტოებებს აკლიათ — ცალკე კეზერაშვილი აფინანსებთ, ცალკე თემურ ჭყონია, ცალკე ჭუტა წერეთელი. მთავარი დამფინანსებლები კი სააკაშვილი, გიული და თემურ ალასანიები არიან. ამ უზარმაზარი ფინანსებით და სამი ტელევიზიის ხელშეწყობით ცდილობენ გადატრიალების მოწყობას, რათა კვლავ ხელისუფლებაში მოვიდნენ. მათ 2003 წელს ხელისუფლებაში მოსვლაში ხომ „რუსთავი-2“ დაეხმარათ.

**— ღარიბაშვილი მოსახლეობას რეგიონებში ხვდება. ხელისუფლება აცხადებს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთვის ემზადება.**

— ხელისუფლებას ნამდვილად აქვს შანსი, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. თუმცა 2012 წელს მოცემული დაპირებების ნაწილი კვლავაც შეუსრულებელია. სააკაშვილის რეჟიმის დროს უამრავ ადამიანს წაართვეს ქონება, ზოგი აწამეს ან ციხეში უკანონოდ ჩასვეს, მოკლეს. მეტიც, ზოგს ცოლები წაართვეს. ხალხი სამართლიანობის აღდგენას ელოდა. მაშინ წართმეული ქონებებიდან, მხოლოდ 10%-ია დაბრუნებული. პირადად მე მონიტორინგს ვაწარმოებდი, ეკონომიკის სამინისტროდან იმ ადამიანების სია გამოვითხოვე, რომელთაც სახელმწიფოს მილიონად ღირებული ქონება ერთ ლარად აჩუქეს. ხელიუფლება ქვეყანაში მშვიდობას ინარჩუნებს, რაც მისი მთავარი კოზირია და რისთვისაც ხალხი ისევ მხარს უჭერს. კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ კი პირდაპირ ომის პარტიაა. სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, საქართველო ომს დაიწყებდა. ეს უკრაინის ხელისუფლებამაც არაერთხელ აღნიშნა. „ქართული ოცნება“ მშვიდობას, სტაბილურობას ინარჩუნებს. ყოველდღიურად ვხედავთ, რა ხდება უკრაინაში, ისრაელში. ქართველ ხალხს არ უნდა, საქართველოშიც იგივე მოხდეს. ეს უკვე გამოვცადეთ 1991-93 წლებში, მერე 2008 წელს. ამიტომ „ქართული ოცნების“ მთავარ ლოზუნგად თუ მშვიდობის შენარჩუნება დარჩება, აუცილებლად გაიმარჯვებს.

**— დასავლეთმა ზურაბიშვილს მიშას შეწყალება მოსთხოვა. როგორ ფიქრობთ, გადადგამს ამ ნაბიჯს?**

— ზურაბიშვილი შეიწყალებს სააკაშვილს, ოღონდ არჩევნებამდე ერთი-ორი თვით ადრე. სამწუხაროდ, ზურაბიშვილი ისტორიაში შევა, როგორც არაფრისმაქნისი, კრიმინალების შემწყალებელი პრეზიდენტი. მან შეიწყალა ბათუმელი პოლიციელის, ასევე, ოთხმეზურის მკვლელიც, რაც არცერთ ქვეყანაში არ ხდება. მიშას საქართველოში ავტორიტეტი არ აქვს. მას მხოლოდ არეულობის მოწყობა შეუძლია. გავიხსენოთ, რას აკეთებდა უკრაინაში, როგორ გადმოკვეთა პოლონეთიდან უკრაინის საზღვარი, როგორ დასდევდნენ საკუთარი კორპუსის სახურავზე და ბოლოს თმებით ითრიეს, შემდეგ ერთ-ერთ კაფეში დააპატიმრეს და სკამი სულ დასველებული აღმოჩნდა. ნურც ის დაგვავიწყდება, გორის ტრასაზე, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე როგორ ფორთხავდა და მიატოვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი, რომელსაც მსგავსი არაფერი ენახა. სად გაგონილა, მთავარსარდალი ასე იქცეოდეს! ვიმეორებ, მას მხოლოდ გადატრიალებების მოწყობა შეუძლია, მაგრამ ახლა ვერც ამას მოახერხებს. და ვერც 2003 წელს შეძლებდა, შევარდნაძეს ხელისუფლება ხონჩით რომ არ მიერთმია.

**— პრეზიდენტი დაბალრეიტინგიან პარტიებს „ევროპული ქოლგის“ ქვეშ აერთიანებს. თან ამბობს, ეს არის არჩევანი ევროპასა და არაევროპას შორისო.**

— საქართველომ ევროპა საუკუნეების წინ აირჩია. ქართველმა ხალხმა მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და ქრისტეს დამცველი, მესიის მახვილი გახდა. რაც შეეხება რუსეთს, ერეკლეს არჩევანიც ევროპა იყო. მაშინ ჩვენი მეზობელი არც ბრიტანეთი ყოფილა, არც საფრანგეთი, ერთადერთი ქრისტიანული მეზობელი რუსეთი გახლდათ. ზურაბიშვილი რომ აცხადებს, არჩევანი გვაქვს გასაკეთებელიო, ეს არჩევანი უკვე გაკეთებულია. ჩვენ რუსეთს 1991-92 წლებში ჩამოვცილდით. თუმცა ევროპულ არჩევანთან ერთად, მიმაჩნია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით, რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს, რასაც პუტინი ითხოვს კიდეც. ვინც ამბობს, რუსეთს არ უნდა დაველაპარაკოთო, მას აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება არ უნდა. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა აღვადგინოთ. ეს არ მოხდება, თუ საქართველო ტერიტორიებს არ დაიბრუნებს. რუსეთთან ამ თემაზე მოლაპარაკება, შესაძლებელია. გავიხსენოთ, რა განაცხადა ცოტა ხნის წინ ლავროვმა, კრემლი წინააღმდეგი არ არის ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთიანი სახელმწიფო შექმნანო. ფონი იქმნება, რათა მოლაპარაკება დაიწყოს. თანაც, ახლა მთელი დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ არის ამხედრებული და მას ახლა ძალიან აწყობს სამხრეთით, საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარება. მით უმეტეს, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო. რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე საქართველოს გაერთიანება ვერ მოხდება.

რაც შეეხება ზურაბიშვილის ქოლგას, მან თავის დროზე საკუთარი თავისთვის ვერ შექმნა ქოლგა — მთაწმინდის რაიონში, არჩევნებში 10%-იც ვერ აიღო, აღარაფერს ვამბობ საპრეზიდენტო არჩევნებზე. მას რეიტინგი (2% აიღო) მაშინაც კი არ ჰქონია, როცა იპოდრომზე გამოვარდა და პოპულარობის ზენიტში იყო. ასე რომ, ამ წყალწაღებულ კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ პრეზიდენტის ქოლგა ვერ უშველის. თუმცა სიფრთხილე მაინც გვმართებს, რადგან მილიარდობით თანხა და სამი ტელევიზია მათ განკარგულებაშია. ეს დიდი ძალაა.

**— ძებნილი ადეიშვილი ბუნდესტაგში გამოჩნდა. რამდენად შეუწყობს ეს ანტიევროპული განწყობების გაღვივებას ხელს?**

— ქართველი ხალხი ამან ძალიან გააღიზიანა, რადგან გერმანიის ხელისუფლებამ მას სულში ჩააფურთხა. განა არ იცოდნენ, რომ ადეიშვილი არათუ ძებნილი, არამედ მსჯავრდებულია. არანაკლები აღშფოთება გამოიწვია ევროკავშირისა და გერმანიის საელჩოს განცხადებამ, ადეიშვილის ბუნდესტაგში ყოფნაში ცუდი არაფერიაო. თურმე, არ სცოდნიათ, რომ ის მსჯავრდებული ყოფილა. ცალკე საკითხია, როგორ გაბედა უკრაინის ხელისუფლებამ ადეიშვილის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა და, ზოგადად, ქართველი კრიმინალების შეფარება. ეს იცის მთელმა მსოფლიომ და გერმანიამ არ იცის, რომელსაც უზარმაზარი დაზვერვა ჰყავს?!

როგორც ჩანს, გერმანელებს დაავიწყდათ ეგოროვისა და ქანთარიას რაიხსტაგზე ასვლა წითელი დროშით, რომელსაც ზედ ნამგალი და ურო ეხატა. მინდა, გერმანიის ხელისუფლებას „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ვუთხრა, რომ ეს მათთვის არასასურველი ფაქტია — ქართველების გაღიზიანება, ზოგადად, კავკასიის მიმართ ასეთი აგდებული დამოკიდებულება, არაფერში გამოადგება, პირიქით, ავნებს. სჯობს, სამომავლოდ ადეიშვილის ასეთი უაპელაციოდ მიღებისგან და მისთვის წითელი ხალიჩის გაფენისგან, თავი შეიკავონ.

**— პაპუაშვილმა ევროკავშირის ელჩს განმარტება მოსთხოვა, თუმცა აქეთ დაგვადანაშაულეს დეზინფორმაციის გავრცელებაში.**



— დიახ, ანტიევროპული დეზინფორმაციის გავრცელებაში დაგვდეს ბრალი. მათ დევნილი ბუნდესტაგში ზარზეიმით მიიღეს. თავის დროზე მსოფლიო აღშფოთებული იყო, როდესაც ნაცისტები სამხრეთ ამერიკაში — ურუგვაიში, ჩილეში, ბრაზილიაში გადასახლდნენ და იქ განცხრომით ცხოვრობდნენ. როგორი მოსასმენი იყო მაშინ ანტიფაშისტური გერმანიისთვის, თუ როგორ შეიფარა სამხრეთ ამერიკამ ფაშისტი ნაცისტი დევნილები. ასევე ჩვენთვისაც ძალიან მძიმე სანახავი იყო ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ადამიანის უფლებათა დამრღვევის, წამების აპოლოგეტის შეფარება უკრაინის მიერ და მერე გერმანიის ბუნდესტაგში საპატიო ადგილას მისი წამოსკუპება. გერმანია ხელშეუხებელი სახელმწიფო არ გახლავთ და ამ საქციელის გამო შეიძლება, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, დიდი დივიდენდები დაკარგოს.

**— საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს ზურაბიშვილმა ვეტო დაადო. პარლამენტის თავმჯდომარემ ეს არჩევნების დისკრედიტაციის მცდელობად შეაფასა.**

— ჩვენი პარტია მომხრეა, ცესკო-ს თავმჯდომარე ხალხმა აირჩიოს. ასევე, სახალხო დამცველიც, რათა ამ პოსტზე ლომჯარიას მსგავსნი არ მოხვდნენ. შედეგად, ოპოზიცია თავისი კვოტით ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნას ველარ მოითხოვს. ჩვენი პარტია ასევე ითხოვს, რომ მოსამართლეებიც ხალხის მიერ იქნას არჩეული.



**თამარ შველიძე**

# დირიჟორი – ამერიკა, ორკესტრი – ევროპა, საკონცერტო დარბაზი – საქართველო



*„საერთო გაზეთთან“ საუბრობს პოლიტიკური გაერთიანება „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ აღმასრულებელი მდივანი, პროფესორი ᲗᲔᲛᲣᲠ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ*

**– წინასაარჩევნო პოლიტიკური სიმულაციები გრძელდება. ამჟამად საუბარია ლგბტ პროპაგანდის კანონით აკრძალვაზე, რის საჭიროებასაც ოპოზიცია ვერ ხედავს. როგორ ფიქრობთ, ჩაერთვებიან თუ არა ისინი კანონპროექტის განხილვებში?**

- ისე, როგორც ყველა მსგავს საკითხზე, ამ შემთხვევაშიც, მათგან მაქსიმალურად უარყოფითი რეაქცია და პროვოკაციებია მოსალოდნელი. ჩვენ გვყავს აგენტური ქსელის წიაღიდან აღმოცენებული პოლიტიკური ძალა და მათივე განაყოფი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და ცდილობენ, საერთო მიზნებითა და ამოცანებით როგორმე შეარყიონ საქართველოს საყრდენი: ქართული ოჯახი, რელიგია, ენდოგენური ტრადიციები, კულტურა... ყველაფერი, რაც სხვებისგან განგვასხვავებს. მათი მიზანია საქართველოს წიაღში ფორმირებული ღირებულებათა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა.

რა შეიძლება ერქვას სახელმწიფოს მდგომარეობას, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმპიჩმენტგამოცხადებულ პრეზიდენტს, ამის დასაბუთება კიდევ საპარლამენტო უმრავლესობით სჭირდება?! რა ფორმაა ეს? თუ ასეა, რატომ არ სჭირდება პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ შეწყალებას პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობის თანხმობა?! წლების განმავლობაში ამ ჩვენი „დაუძინებელი დასავლელი მეგობრების“ მიერ ამღვრეული, ახლართული, ურთიერთწინააღმდეგობებით სავსე ფორმაციაში ვცხოვრობთ. სისტემა და საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის შედეგი იმისა, რომ საქართველოს ერთი კანონით აქვს კონკრეტულ საკითხზე რეაგირების შესაძლებლობა, მეორე კანონი კი მას ხელებს უბორკავს. ამას თავს როგორ ვართმევთ?!

**– როგორც მამუკა მდინარაძემ განაცხადა, ოპოზიციას თავიანთი „პატრონების“ ეშინია, რომლებიც მათ ქვეყნის გარედან მართავენ. მაინც, ვინ არის მათი „პატრონი“?**

**– ალეგორიულად რომ აღვწერო ეს ყველაფერი, მმართველი და დირიჟორი ამერიკის შეერთებული შტატებია, მუსიკალური ორკესტრი ევროპაშია, საკონცერტო დარბაზი კი საქართველოში გახსნეს. ორკესტრში ვინ უკრავს, ვიცით და რა მელოდიას გვთავაზობენ, ესეც ვიცით, ჩვენ კი, მოგვწონს თუ არა, ამ მელოდიაზე უნდა ვიცეკვოთ. შესაბამისად, თუ ამ მუსიკაზე არ ცეკვავ, - მზად არიან მათრახი გადაგიჭირონ! პირდაპირი გზით ქართულ პოლიტიკაში ისინი არასდროს ერევიან. მათი მეთოდებია: ფულით ადამიანების მოსყიდვა, სარფიანი შეთავაზებები გარკვეული ამოცანის სანაცვლოდ და საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შეძლეს და უკვე თავს მოგვახვიეს.** ის მოთხოვნა, რომ მხოლოდ ნატო-ს და ევროკავშირის მიმართულება უნდა იყოს ჩვენი ერთადერთი არჩევანი, ძალიან გვზღუდავს მოქმედებაში. ფაქტობრივად, ოდნავ მარცხნივ ან მარჯვნივ გადადგმული ნაბიჯი უკვე კონსტიტუციის დარღვევად აღიქმება.

მათ მიერ შექმნილი განწყობებით, რომ „აი, ხალხო, ევროპას გვართმევენ, აი, ესენი პრორუსული ძალები არიან“, წლების განმავლობაში შექმნეს რუსეთისგან ყველაზე ბოროტი სახელმწიფოს იმიჯი. რეალურად კარგად ვიცით, როგორ იყო ინიცირებული ეს ყველაფერი. მათ შორის, რუსეთში ნგრევის პროცესიც დასავლეთიდან არის ინიცირებული. თუ ვინმე წაიკითხავს და ღრმად ჩასწვდება ისტორიებს, პირველი და მეორე მსოფლიო ომებიდან დაწყებული და უფრო ადრეც, ყოველთვის იყო რუსეთის ხელში ჩაგდების მცდელობა დასავლეთის მხრიდან. რუსეთთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობდა ისტორიული მოვლენები, როდესაც ერთსა თუ მეორე ქვეყანას ბრალდებოდა საომარი მოქმედებები. მექანიზმი ერთი და იგივეა. როგორ შეიძლება, ადამიანი ათჯერ ერთსა და იმავე ანკესს წამოეგოს, ეს არის, რაც მაკვირვებს!

**– ოპოზიცია ნებისმიერი გზით ცდილობს, სასურველ შედეგს მიაღწიოს. ბოლო დროს თითქოს ტონიც კი შეარბილეს და კონსტრუქციული იმიჯი მოირგეს. მაინც, რისი იმედი აქვთ მათ 2024 წლის არჩევნებზე?**

- 2012 წლის შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობა“ არჩევნებში დამარცხდა, დასავლეთი ჰპირდებოდა მათ, რომ შემდეგ არჩევნებში ისევ გაიმარჯვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ფული ჩაყარეს და ამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნეს, მათ ვერ გააჩინეს ახალი ლიდერი და ახალი ძალა. ამიტომ, ერთსა და იმავე ჯგუფში გადანაცვლება-გადმონაცვლებით, ახალ-ახალი ლიდერების წარმოჩენის მცდელობით ცდილობენ, გავლენა იქონიონ შედარებით სუსტი ცნობიერების მქონე იმ ადამიანებზე, ვისაც „სამშობლოს“ ცნება სხვაგვარად ესმით.

რეალურად, მათი ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი არ არსებობს, თუ სასწაული არ მოხდა და „ქართულმა ოცნებამ“ რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვა. არჩევნებამდე ასეთი შეცდომა არ არის მოსალოდნელი. მიმაჩნია, რომ საარჩევნო სიებში და არჩევნების შემდეგ, „ქართულ ოცნებას“ სჭირდება ძალიან სერიოზული საკადრო ცვლილებები. მხედველობაში მაქვს როგორც საპარლამენტო სიებში ახალი შემადგენლობა, ასევე მთელ სახელისუფლებო შტოებში, ყველა დონეზე, რადგან ამ ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსით ჩვენ ვერ გავართმევთ თავს მომავალ გამოწვევებს. ეს ცალსახაა.

თუ გვინდა, რომ უბედურებამდე არ მივიყვანოთ ქვეყანა, უნდა ვეძებოთ ის ადამიანები,



ვისაც შეუძლიათ იმის კეთება, რაც უჭირთ „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“, ეგრეთ წოდებულ მეხუთე კოლონის ტრანსფორმაციას გამოვრიცხავ. მათ საერთოდ არაფერი შეუძლიათ ლაყაფის, ნგრევისა და სამშობლოს გაყიდვის მცდელობის გარდა. ყველა საზიზღრობა, რამაც შეიძლება ადამიანში თავი მოიყაროს, მათშია ასახული. მოსახლეობამ უნდა იცოდეს ერთი რამ, რომ 100 პროცენტით მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობა“ ქართული საზოგადოებისთვის, „ქართული ოცნების“ მიმღებლობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შემოიყვანენ ისინი ახალ ძალებს და გააჩენენ ახალ ხედვებს. ასევე მნიშვნელოვანი იქნება მოსახლეობის სწორი არჩევანი. 2024 წლის არჩევნებზე აღარ უნდა დავუშვათ ქეიფში ხმების მიყიდვა, მეგობრობისა და ძმაკაცობის გამო ხმის მიცემა, რადგან გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ორი არჩევანი - ან საბოლოოდ გავებმებით ნეობოლშევიზმისა და ეგრეთ წოდებული ლიბერალური ფაშიზმის მახეში, ან დავადგებით ქვეყნის სწრაფი ტემპებით განვითარების გზას! ერთ მხარეს არის ძალიან დიდი შესაძლებლობები საქართველოსთვის - ყველა სიკეთის მიღების გზა და მეორე მხარეს - ის აბსოლუტური უბედურება, რომლიდანაც გამოსავალი აღარ იქნება. ამიტომ, უნდა გაკეთდეს გონივრული არჩევანი. ზერელე დამოკიდებულება მიმდინარე წლის არჩევნების მიმართ, სამშობლოს ღალატად მიმაჩნია.

**– ბატონო თემურ, თქვენი აზრით, აუცილებლად და დაუყოვნებლივ რა არის შესაცვლელი სახელისუფლებო რგოლში?**

- ჯერჯერობით, საჭიროა მინიმალური ცვლილებები იმისათვის, რომ სახელმწიფო მშვიდად მივიდეს არჩევნებამდე. არჩევნების შემდეგ კი ჩვენი თითოეული ნაბიჯი უნდა იყოს იმ გამოწვევების შესაბამისი, რის წინაშეც ვდგავართ. მინისტრებად და სხვადასხვა სახელისუფლებო შტოში ახალი, უნარების მქონე ადამიანები უნდა ვიხილოთ. ბევრი პროფესიონალი ვიცი, ვისაც ქვეყანა უშენებია, ვისაც ძალიან ბევრი უშრომია ქვეყნის სასიკეთოდ და მათი უნარები სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, ვხედავ ისეთებსაც, ვისაც მხოლოდ მიკროფონი უჭირავს ხელში და რბილ სავარძელში ჩამჯდარა, თუმცა, არასდროს არაფერი გაუკეთებია თავისი ქვეყნის სასარგებლოდ და არც ამის უნარი გააჩნია.

დღეს რომ დიპლომი აიღო ადამიანმა და პირდაპირ მინისტრის სავარძელში ჩასვამ, ხომ მიჩნდება კითხვა, - რატომ, რა დამსახურებით?! ვიღაცამ რომ ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა, ჩემთვის ეს რისი მთქმელია?! რამდენმა ადამიანმა დაამთავრა უცხოეთში უნივერსიტეტი, მაგრამ აბა, დამანახეთ, ერთი მაინც, რომელმაც საქართველოში რამე შეცვალა, რომელმაც თავისი ცოდნით გააკვირვა ჩვენი ქვეყანა?! ერთი გვარი მაინც დამისახელეთ!

**– სწორედ ეს განაცხადა ირაკლი კობახიძემ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად, როცა ჯანდაცვის მინისტრი გაათავისუფლა, რომ კონკრეტულ სტრუქტურებს დარგის სპეციალისტები უნდა მართავდნენ...**

- შემოვიდა ასეთი ტენდენცია, რომ, თუ ადამიანს მენეჯმენტის დიპლომი აქვს და მენეჯერია, ის ნებისმიერ დარგში შეიძლება დაასაქმო. რეალურად კი, მე შეიძლება ავითვისო მმართველის უნარები, მაგრამ კონკრეტულ სფეროზე წარმოდგენა არ მქონდეს. როგორ შეიძლება ადამიანი მართავდეს დარგს, რომელის ბაიბურშიც არ არის?! რატომ არის, რომ მეწაღემ თავისი დარგი უნდა იცოდეს და მეთუნუქემ თავისი? როგორ შეიძლება სახელმწიფოს სტრუქტურებს, უბრალოდ, მენეჯერი მართავდეს?

**– არაერთ დანაშაულში მხილებული ზურაბ ადეიშვილი ახლახან ბუნდესტაგში იმყოფებოდა, როგორც უკრაინის ელჩის დელეგაციის წევრი. გერმანიის საელჩოს განცხადებით, არ არსებობდა სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული მიზეზი იმისათვის, რომ ადეიშვილისთვის პარლამენტში შესვლა აეკრძალათ...**

- საქმე ის არის, რომ ისინი ჩვენს სახელმწიფოს უყურებენ, როგორც არშემდგარ სახელმწიფოს. მათ სჭირდებათ უკრაინა, უკრაინას კი სჭირდება ადეიშვილი. შესაბამისად, უკრაინამ რაც უნდა გააკეთოს, ადეიშვილთან ერთად, ის არის მართებული. საქართველო მათთვის არის ინსტრუმენტი დინამიტის სახით რუსეთის ფეხებში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფული, რასაც ისინი ჩვენზე ხარჯავენ, საქართველოს კეთილდღეობისთვის უნდათ, ძალიან ცდება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დიდი ნალმი ჩაიდოს საქართველოში, რათა რუსეთი დაშალონ და

11 გვ. →

# საქართველოს გაერთიანების იდეა აფხაზეთიდან მოდის



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА:*

**— ბატონო იგორ, საქართველომ სოჭში საერთაშორისო ახალგაზრდულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა. რას გვეტყვით, მის მნიშვნელობაზე?**

— დიახ, ამ დღეებში სოჭში მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალი ჩატარდა, სადაც ქართული დელეგაცია 60-კაციანი ჯგუფით იყო წარმოდგენილი. მას ევგენი პრიმაკოვის სახელობის „ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრის“ დირექტორი დიმიტრი ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. დელეგაციაში შედიოდნენ: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოსტსაბჭოთა ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე ანა ხოტივრიშვილი, იულია კლუჩნიკოვა — რუსულენოვანი გიდი თბილისიდან, ინესა როდინა — საქართველოს სამგზის ჩემპიონი სპორტულ აკრობატიკაში, „საქართველოს რუსი ახალგაზრდების ლიდერი“; კარინე არაკელიანი — პედაგოგი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ფარავანიდან, ტატიანა ბალაბანოვა – მცხოვრები სოფელ გორელოვკადან და რუსეთში ქართული თემის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ეს ფესტივალი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რასაც თავისი საზომით ზომავს რუსეთიც, აფხაზეთიც, სამაჩაბლოც და საქართველოც. მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალი საგანმანათლებლო ცენტრ „სირიუსში“ გაიხსნა და მასში ასამდე ქვეყანა მონაწილეობდა. მას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდანაც ესწრებოდნენ. მათი დელეგაციები საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა სახის პანელებზე: უახლესი ტექნოლოგიები, მედიაგანვითარება, ხელოვნური ინტელექტი, ახალი გეოპოლიტიკა და სხვა. მსგავსი ღონისძიება ადრეც ჩატარდა, თუმცა მაშინ საქართველოს წარმომადგენლობა არ ესწრებოდა. ადრე საქველმოქმედო ცენტრი არსებობდა, რომელიც რუსულ-ქართული ურთიერთობების განმტკიცებას ემსახურებოდა, თუმცა აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაუქმდა.

ფესტივალზე გამგზავრება, არ მგონია, ხელისუფლებასთან ყოფილიყო შეთანხმებული და ეს არც იყო საჭირო. მიმაჩნია, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც დელეგაციას ხელმძღვანელობდა, შესანიშნავი პატრიოტი ქართველი კაცი და საკმაოდ ღრმად მოაზროვნე პოლიტიკოსია. ის არასდროს ყოფილა მოთამაშე. ქართველ „მოკლეშარვლიან“ და „მოკლეკაბიან“ პოლიტიკოსებს ყველას ჯიბეში ჩაისვამს. იგი უდავოდ კარგ საქმეს აკეთებს. აბა, რუსეთის გადამტერებით რას მოვიგებთ, შევებრძოლებით თუ რა?! რუსეთს კი არა, ჩვენი სამხედრო ძალით სომხეთსა და აზერბაიჯანსაც კი ვერ შევებრძოლებით. ბატონი დიმიტრი, როგორც მოგახსენეთ, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრს ხელმძღვანელობს. ერთი პერიოდი საქართველოში პრიმაკოვის მხოლოდ ქება-დიდება ისმოდა. იგი თბილისში, პლეხანოვზე გაიზარდა, შესანიშნავად იცოდა ქართული. შევარდნაძის პერიოდში მან საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რათა აფხაზები და ქართველები ერთმანეთს შეხვედროდნენ, აზრი გაეზიარებინათ, შეთანხმებულიყვნენ და მშვიდობისთვის მიეღწიათ. ახლა რომ დაიწყო ოპოზიციამ კონფედერაციაზე უარყოფით კონტექსტში საუბარი, ეს ადრეც უნდა გაკეთებულიყო. ამაზე ვერ შევთანხმდით და ეს შეცდომა იყო. ბევრი ახლაც კატეგორიულად ამბობს, კონფედერაციაზე არ უნდა ვილაპარაკოთო. ეს შეცდომაა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენი რუსეთთან ურთიერთობაც, ფაქტობრივად, კონფედერაცია იყო. ყველაფერს მოსკოვი წყვეტდა. ის ნიშნავდა პირველ მდივანს, მთავრობის თავმჯდომარეს, რაიკომის მდივნებს...

რუსეთის მიმართ საქართველოში გადამეტებული აგრესიაა. მავანს პირზე „გავრილოვის ღამე“ აკერია. ამაზე ერთი აჟიოტაჟი რომ არ აგვეტეხა, ბევრად მეტს მოვიგებდით. რა მოხდა ასეთი — გავრილოვმა დახვრიტა ვინმე, თუ გადატრიალებას ახდენდა?! როგორც მკვლევარი ვფიქრობ, ხელისუფლებამ სახელმწიფოში არსებულ შიდა პროცესებს თავად უნდა მოუაროს, რათა ეს ზოგიერთებისთვის საგორაო ბურთი არ გახდეს.

**— ბატონო იგორ, წინა კვირას გაირკვა, რომ ტრამპი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს...**

— მე ტრამპის მხარდამჭერი ვარ. ჩვენ ერთმანეთთან მიმოწერაც გვქონდა. საქართველოდან მხოლოდ მე მივულოცე პრეზიდენტობა. მან წერილობით მიპასუხა და მადლობა გადამიხადა, როგორც ისტორიკოსს, მკვლევარს. არც კი ველოდი. მაშინ ტრამპის მხარდამჭერი საზოგადოების შექმნაზე დავიწყე მუშაობა. მერე ეს პროცესი შეჩერდა. ახლა ისევ ვქმნი ტრამპის მხარდამჭერ საზოგადოებას. ჩვენ ყველასთან უნდა გვქონდეს ურთიერთობა. მე გამსახურდიას თეზით ვცხოვრობ: ჩვენ ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთანაც, ამერიკასთანაც და ევროპასთანაც, მაგრამ ცალსახად არავის უნდა მივებათ. ეს ბალანსირების პოლიტიკაა, რასაც ჩვენი დიდი მეფეები მიმართავდნენ. არიქა, რუსეთისკენ მივექანებითო, რომ შფოთავენ, ქართველები ძველად რას აღარ აკეთებდნენ, სპარსეთში რომ მოხვედრილიყვნენ — ზოგი მუსულმანობას იღებდა, ზოგი იქ დას უშვებდა. ამაზე რატომ არავინ ლაპარაკობს, როგორ იქცეოდნენ მაშინ ქართველები?! რა, ახლა ამერიკიდან არ ხდება დანიშვნები?! მარგველაშვილი საიდან მოვიდა? — ეს ამერიკის ჩარევით მოხდა.

**— სოჭის ფესტივალს დავუბრუნდეთ. ქვეყნების ჩამონათვალში მხოლოდ საქართველო იყო, სამაჩაბლო და აფხაზეთი დამოუკიდებელ ერთეულებად მოხსენიებული არ იყო. ეს რას ნიშნავს?**

— ამასთან დაკავშირებით დაზუსტებულ ინფორმაციას არ ვფლობ. რასაც თქვენ ამბობთ, თუ მართლა ასეა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს საქართველო რუსეთს და ამერიკას აქვთ განაწილებული. კრემლში უკვე მსჯელობენ, როგორ უნდა მოაგვარონ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა. დავაკვირდეთ, რამ განაპირობა უკრაინაში ომის დაწყება. რუსეთმა თქვა, ჩემს საზღვართან ატომური სახელმწიფოს არსებობას არ დავუშვებო. უკრაინა უზარმაზარი სიმდიდრით განთქმული ქვეყანაა. ამ დროს რუსეთის საზღვართან ამერიკის სახელმწიფო ჩნდება! ეს ომი მზადდებოდა ისევე, როგორც უკრაინის ხელისუფლებაში ზელენსკის მოსვლა, რაც საკმაოდ დიდი თანხა დაჯდა. ხომ გახსოვთ, ამერიკის სახელმწიფო მდივანი როგორ ურიგებდა მაიდანზე ხალხს ფუნთუშებს. ეს ომი მხოლოდ რუსეთის კი არა, ევროპის შესაშინებლადაც დაიწყო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ახლა ამერიკას გერმანია და საფრანგეთი თავს უხრიან? — არა, მაგრამ თუ უკრაინა მისი გახდებოდა, სხვა მოცემულობა გვექნებოდა. ანუ, ეს იქნებოდა შუბი რუსულ საჯდომში. ასე ამერიკას მუჭში ეყოლებოდა რუსეთიც და ევროპაც, იგივე გერმანიაც.

გვესმის, შეძახილები, რუსეთი მარცხდებაო. არადა, ვხედავთ, რომ უკრაინა ნადგურდება, ხალხი იჟლიტება, მილიონობით ადამიანი ქვეყნიდან წავიდა, ყველაფერი დანგრეულია. ომის პრაქტიკაში ასეთი რამ არ არსებობს, მე ომი უნდა დავიწყო და შენ ხმალი, ხანჯალი, თოფი მომეცი, რომ რუსეთს ვესროლოო. ამისთვის სხვა ქვეყნებთან გარბიხარ — იარაღი მომყიდე ან მაჩუქეო. ასეთი პრეცედენტი მსოფლიო პოლიტიკაში და ომში არ არსებობს. ბაიდენი ყველას მოუწოდებს, უკრაინა შეაიარაღეთ, რუსეთის დამარცხებაში დაეხმარეთო. რას დაემსგავსა ამერიკა? — პრეზიდენტად ბაიდენს რომ დაუჭერ მხარს, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ვიმეორებ, ვერცერთ სიტუაციაში ჩვენ ომს ვერავის მოვუგებთ. ამიტომ დიპლომატიისა და მორიგების გზით უნდა წავიდეთ. თუმცა, ეს ამერიკის და ევროპის უარყოფას როდი ნიშნავს. მკვეთრად არცერთ მხარეს არ უნდა დავუპირისპირდეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ მოგვცეს სტატუსი? — მათ საქართველო სჭირდებათ. ახლა მთავარი აქცენტი „შუა დერეფნის“ პროექტზე კეთდება. მაგალითად, ბაქო-ჯეიჰანი ეკონომიკური კი არა, აბსოლუტურად პოლიტიკური პროექტია. აქედან, ჩვენ მხოლოდ 50 მილიონს ვიღებთ, რაც ბევრი არაფერია. თუ „შუა დერეფნის“ შემთხვევაშიც ასე იქნება, მაშინ ეს ჩვენთვის არაფერია. ჩვენ ეკონომიკური პროექტები გვჭირდება, რათა გავძლიერდეთ. ეკონომიკის გაძლიერება პოლიტიკის გაძლიერებას ნიშნავს.

**— ფესტივალზე განსაკუთრებული ყურადღება ქართველების მიმართ იყო, გამოითქვა მზაობა ღია დიალოგისთვის. სამომავლოდ პირდაპირი დიალოგი გარდაუვალია?**

— ძალიან კარგი კითხვაა. სოჭის მსოფლიო ახალგაზრდულ ფესტივალს პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონდა. თუმცა, პირდაპირი დიალოგის დასაწყებად წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

**— ზემოთ აფხაზებთან და ოსებთან კონფედერაციის შექმნა ახსენეთ. რამდენად შესაძლებელია, ეს კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახდეს?**

— კონფედერაციის შექმნის გეგმა ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს არსებობდა. ზვიადს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აფხაზეთის „ეროვნული მოძრაობის“ წევრებთან. იცით, რატომ დაიწყო შევარდნაძემ ომი? — იმიტომ, რომ აფხაზეთში ბევრი ზვიადისტი იყო და ისინი უნდა მოეშორებინა, დაერბია. ბუნებრივია, ეს ზვიადისტების განადგურებას ნიშნავდა. სამეგრელო რამდენჯერმე დაარბია. აი, აფხაზები კი საერთოდ დაკარგა. დავუბრუნდეთ კონფედერაციის ჩანასახს, რომლის წინააღმდეგ მაშინ ქართული ინტელიგენცია, ისტორიკოსები წავიდნენ. კონფედერაციის იდეას მხარს ვუჭერდი, ამაზე აქტიურად ვწერდით. მერე ინტელიგენცია შეიკრიბა, გიული ალასანიასთან მივიდა და უთხრა, კვესელავა გააჩერეთ, მას აფხაზეთთან კონფედერაცია უნდაო. ახლა ქართველები და აფხაზები აბსოლუტურად გაუცხოებულნი რომ ვართ, ამას კონფედერაცია ან ფედერაცია არ სჯობდა?! გამსახურდია ამბობდა, უნდა შეიქმნას ქართულ-აფხაზური ფედერაციული სახელმწიფოო.

საქართველო ხუთი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო არ იყო. ქვეყანას ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტი არ ჰქონდა. საქართველოს გაერთიანების იდეა აფხაზეთიდან მოდის. ის აფხაზეთის დახმარებით გახდა ერთიანი სახელმწიფო. ახლა რატომ არ უნდა დავდგეთ ერთად?! შეიქმნას კონფედერაცია და იჯდეს აქ აფხაზეთის წარმომადგენელი. ამას აპირებდა გამსახურდია. მაგალითად, მე მომხრე ვარ, აფხაზი პრეზიდენტი გვყავდეს, ოღონდ საქართველო ერთიანი იყოს. ამ უაზრო დამოკიდებულებებით დღეს მტრებად ვართ გადაქცეული. ბევრი ინიციატივა ჩვენგან უნდა წამოვიდეს, რაღაც ჩვენც უნდა დავთმოთ და მათაც. აქვე ჩნდება ლოგიკური კითხვა: უნდათ აფხაზებს ჩვენთან კონფედერაცია? ამ წლების განმავლობაში მათ ზურგი მოიმაგრეს, რამდენიმე სახელმწიფომ მათი დამოუკიდებლობა ცნო. თუ საქართველო ერთიანი იქნება, მაშინ რუსეთიც, აფხაზეთიც და სხვებიც ანგარიშის გაგვიწევენ.




**თამარ შველიძე**

# გალობანი სინანულისანი

## ანუ ფიქრები მწუხრის ჟამს



**„საერთო გაზეთის“ დამაარსებელი და მისი უცვლელი რედაქტორი, ცნობილი ქართველი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ხარჩილავა 17 მარტს 76 წელიწადი შეუსრულდებოდა.**

**ვახტანგ ხარჩილავას საწუხარი, საფიქრალი და სადარდებელი მისი მარადიული ტკივილი, მისი სამშობლო – საქართველო იყო, რაც პოეტის ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებშიც მძაფრად არის ასახული.**

**ბატონ ვახტანგს დაბადების დღეს ვულოცავთ ზეციურ საქართველოში, მკითხველებს კი ვთავაზობთ ბატონი ვახტანგის 2022 წლის 2 თებერვლის წერილს, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ, როცა ის დაიწერა...**

### დაბადების დღე

*დაბადების დღეს მილოცავენ მეგობრები,*
*ვინც არ იყოს,*
*მართლა ამ დღეს დაბადებული ვეგონები.*
*ჩვენ ყველანი ერთ დღეს დავიბადეთ...*
*ჩემი საწყალი ძმები და დები.*
*ჩვენ ყველანი ერთად დავიბადეთ,*
*მაგრამ რატომღაც ცალ-ცალკე ვკვდებით.*
*მილიონი წლის წინათ, მილიარდი წლის წინათ,*
*ერთხელ დავიბადეთ და ვკვდებით უამრავჯერ...*
*რამდენი ითოვა,*
*რამდენი იწვიმა,*
*რამდენ დღე-ღამეს ვუდარაჯეთ.*
*დაბადების დღეს მილოცავენ მეგობრები,*
*ვინც არ იყოს,*
*მართლა ჩვიდმეტ მარტს დაბადებული ვეგონები.*

ისე, როგორც ადამიანმა, ქვეყანამაც ხანდახან უნდა მოიხედოს უკან და მის მიერ გამოვლილ გზას თვალი უნდა გადაავლოს — რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვა, რაიმე ხომ არ შეეშალა?

საქართველოში უკან მოხედვა არ უყვართ — არა იმიტომ, რომ ეზარებათ, არამედ იმიტომ, რომ უკან მოხედვისას, არ არის გამორიცხული, ძალიან ბევრი ისეთი რამ დაინახო, რისიც შეიძლება შეგრცხვეს და თავი უხერხულად იგრძნო.

ამიტომაც გვირჩევნია, წინ ვიაროთ გაშეშებული კისრით და ერთ წერტილს მიშტერებული თვალებით, აქეთ-იქით რომ არ გაგვექცეს მზერა და, მით უმეტეს, უკან მოხედვის ცდუნებას არ ავყვეთ.

ზოგჯერ ხდება ხოლმე — გგონია, რომ წინ მიდიხარ, ამ დროს ეს წინ სვლა მხოლოდ წინსვლის იმიტაციაა, სინამდვილეში კი ერთ ადგილს ტკეპნი და არსადაც არ მიდიხარ, უფრო ზუსტად, ძალა არ გაქვს, რომ წინ წახვიდე, რადგან უკან ის წარსული გექაჩება, რომელიც დავიწყებით კი დაივიწყე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გაქრა და არ არსებობს.

●

ყველაფერი შედარებითია ამ ქვეყანაზე...

რაღაცის ფასი და მნიშვნელობა რომ გაიგო, ამ რაღაცას სხვა რაღას ადარებ და ისე გამოგაქვს დასკვნა.

საქართველოს დღევანდელ რეალობას იმ რეალობას თუ შეადარებ, რომელშიც საქართველო დამოუკიდებლობის მიღებამდე ცხოვრობდა, ამ შედარების შედეგად აუცილებლად დაგებადება ბევრი კითხვა: როდის იყო საქართველო უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი — დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თუ დამოუკიდებლობის მიღებამდე?

როდის იყო საქართველო უფრო მდიდარი, უფრო ბედნიერი, უფრო წარმატებული — დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის შემდეგ?

როდის იყო საქართველოს მოსახლეობა უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო ლაღი და წელგამართული, დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ?

რატომ აღმოჩნდა დამოუკიდებლობა ის მუხრუჭი, რომელმაც ქვეყნის წინსვლა და განვითარება შეაფერხა?

დამოუკიდებლობა და თავისუფლება საჭირო არის თუ არა, ამას კი არ ვაყენებ ეჭვქვეშ, უფრო იმის გარკვევა მინდა, ნამდვილად მოვიპოვეთ თუ არა ჩვენ 90-იან წლებში დამოუკიდებლობა, თუ ეს ყველაფერი ფიქცია და მირაჟი იყო?

30 წლის წინანდელ ამბებს რომ ვიხსენებ და დღევანდელ სიტუაციას რომ ვაკვირდები, თითქოს არაფერი შეცვლილა — იგივე ლოზუნგები და მოწოდებები, იგივე პოლიტიკური სინტაქსი, იგივე პათეტიკა, იგივე მტერი, მოყვრებად და მოკავშირეებად გამოცხადებული იგივე სუბიექტები, იგივე ხაფი და ომახიანი: გაუმარჯოს! იგივე ქადილი და მუშტების მრისხანე ქნევა, შემდეგ კი იგივე ნული, ოღონდ უფრო დიდი და მსხვილი.

პოლიტიკური ხასიათის ოცდაათი წლის წინანდელი და დღევანდელი თეატრალიზებული წარმოდგენებიც რომ შეადარო ერთმანეთს, თითქოს ერთი და იგივე რეჟისორის დადგმულია, „პიესის“ ტექსტიც ერთი და იგივე ავტორს ეკუთვნის და მუსიკალური გაფორმებაც.

ის კი არა, „სპექტაკლში“ მოთამაშე „მსახიობებიც“ იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, შეგიძლია ახლანდელი „აქტიორები“ პირდაპირ ჩასვა ძველი „აქტიორების“ ადგილას.

ასე, მაგალითად, ირაკლი წერეთლის ადგილას ნიკანორ მელია რომ „ჩააწებო“, ლუიზა შაკიაშვილის ნაცვლად მეგი გოცირიძე ან თაკო ჩარკვიანი, ამით არაფერი შეიცვლება.

ისე, როგორც ახლა, მაშინაც რუსეთს ვეძახდით ოკუპანტს (თუმცა იმ პერიოდისთვის რუსეთს არც აფხაზეთი ჰქონდა ოკუპირებული და არც სამაჩაბლო); ისე, როგორც ახლა, მაშინაც მტკიცედ გვჯეროდა, რომ ნატო დაუყოვნებლივ შემოვიდოდა საქართველოში, მთელი დასავლეთი რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებულ პატარა საქართველოს დაუჭერდა მხარს და ასე ერთობლივად მტერს კუდით ქვას ვასროლინებდით.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ნატო-ში ვერც იქით შევედით და არც ნატო შემოსულა აქეთ, არც დასავლეთს მოუკლავს თავი ჩვენი გამოქომაგებით.

ყველაფერი იგივე დარჩა, რაც ოცდაათი წლის წინათ იყო, ოღონდ ერთი შესწორებით — საქართველომ ტერიტორიის 20% დაკარგა, ერთ დროს მდიდარი ქვეყანა უკიდურესად გაღარიბდა, ნახევარ მილიონამდე ადამიანი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად და დევნილად იქცა, ორ მილიონამდე ქართველი ლუკმაპურის საძებნელად ქვეყნიდან გაიქცა...

თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე, დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთ წელიწადში, კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი მოკლეს, მაგრამ გამოსარჩლებით არც მაშინ გამოგვსარჩლებია ვინმე და ქართული სახელმწიფო „კანონიერ ქურდს“ და „ძველ ბიჭს“ შეატოვეს სამართავად.

მოგვიანებით, საქართველოს მოსახლეობას სოკოებივით ერთბაშად ამოყრილი „ბანკები“ მიუსიეს საძარცვავად და დასამარხად გადანახული უკანასკნელი გროშები ამოაცალეს ჯიბიდან. ამას დაუმატეთ მიმოქცევაში კუპონის გაშვება, რომელმაც საბოლოოდ გააკოტრა ქვეყანა, თუმცა მათ, ვინც ხელისუფლების სათავეებთან იდგნენ, ძალიან მაგრად იხეირეს და ერთბაშად მილიონები იშოვეს.

მოსახლეობის მასობრივ გაკოტრებას პრივატიზაციის პროცესი მოაყოლეს და ერთეულებმა საერთო-სახალხო ქონება კაპიკების ფასად ჩაიგდეს ხელში.

ამ ეროვნულ ტრაგედიას პარალელურად მეორე ეროვნული ტრაგედია მოჰყვა — ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ქართველების გენოციდი, სამასი ათასი ქართველის გამოდევნა აფხაზეთიდან, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სრული გაჩანაგება, ფაბრიკების, ქარხნების, საწარმოების ნგრევა და გაპარტახება.

სანამ ბოლო აგურამდე არ დაინგრა ყველაფერი, სანამ ბოლომდე არ გავნადგურდით, მანამდე არავის გამოუხედავს ჩვენსკენ, მათ შორის არც იმათ, ვინც გვამხნევებდა, გვაქეზებდა.

ზერელედ და გულსგარეთ ნათქვამი „შეშფოთება-აღშფოთების“ იქით საქმე არ წასულა, თუმცა თავიანთი ინსტრუქტორების ჩუმ-ჩუმად შემოყვანა და სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა რგოლებში ზედამხედველებად და ჭკუისმასწავლებლად ჩასმა არ დაივიწყნიათ.

ასე თანდათან, ნელ-ნელა მიგვახვედრეს, რომ ახლა ისინი იყვნენ ახალი უფროსები ამ ქვეყანაში და ამიერიდან მათთან დათათბირების და მათთან შეთანხმების გარეშე სახელმწიფოში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღებოდა.

●

ვისაც ახსოვს, 1988-90 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეგიდით ჩატარებული მიტინგები და აქციები, ერთ საერთო და უცვლელ ლოზუნგს მიაქცევდა ყურადღებას, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა ყველა მიტინგს და აქციას.

ჩვენ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას კი არ ვითხოვდით მხოლოდ, არამედ ვითხოვდით გათავისუფლებას ოკუპანტი რუსეთისგან და იქვე დავსძენდით, რომ რუსეთისგან თავის დაღწევის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შევსულიყავით ნატო-ში და ჩვენი ისტორიული ადგილი უნდა დაგვეკავებინა ევროპული სახელმწიფოების დიდ ოჯახში, ანუ, ფაქტობრივად, ღიად და პირდაპირ ვამბობდით, რომ ძველი პატრონი ახალი პატრონით უნდა ჩაგვენაცვლებინა, რკინის უღელი ოქროს უღელზე უნდა გადაგვეცვალა, თუმცა იმას ვერ ვაცნობიერებდით, რომ უღელი უღელია და ოქროსი შეიძლება რკინისაზე უფრო მძიმე აღმოჩნდეს.

საქართველო და რუსეთი, მოცემულ სიტუაციაში, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და, იმის ნაცვლად, რომ ახალი პოლიტიკური გარემოებებით ესარგებლა და რუსეთთან ურთიერთობის ახალი, მისთვის სასარგებლო და მომგებიანი ფორმები გამოეძებნა, საქართველომ ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან კონფრონტაციისა და დაპირისპირების გზა აირჩია.

არანაირი რესურსი არ გაგვაჩნდა, არაფერი არ გვქონდა, გარდა დიდი აღტკინებისა და ექსტაზამდე მისული ეიფორიისა, მაგრამ მაინც თამამად და უშიშრად ვუტევდით რუსეთს, თითქოს ვცდილობდით, წონასწორობიდან გამოგვეყვანა, რათა თავისი ნამდვილი ძალა გამოეაშკარავებინა — მკაცრი, ულმობელი, სასტიკი ძალა, რომელიც, ერთხელ თუ დაიძრა, მერე მისი შეჩერება არაფერს შეუძლია.

დარწმუნებული ვარ, ვიღაც საიდუმლო მრჩევლები გვირჩევდნენ და გვაქეზებდნენ, ისე მოვქცეულიყავით, როგორც ვიქცეოდით, ხოლო, რა შედეგები შეიძლებოდა ყოველივე ამას მოჰყოლოდა, ამაზე ნაკლებად ვფიქრობდით.

საბჭოთა კავშირი ხომ დავანგრიეთ, ახლა რუსეთი უნდა დაგვენგრია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უნდა გაგვეთავისუფლებინა და ერთიანი კავკასიური სახლი უნდა შეგვექმნა, ცენტრით თბილისში.

ჯერ საკუთარი თავისთვის არ გვქონდა ბოლომდე ნაშველი და სხვების საშველად ვიწევდით, თუმცა ჩვენ, ვინც საბჭოთა კავშირი „დავშალეთ“ და „დავანგრიეთ“, არც ამ ლოკალური ამოცანის

შესრულება (ჩრდილოეთ კავკასიის გათავისუფლება) გაგვიჭირდებოდა.

ასე გვჯეროდა, ასე გვწამდა მაშინ, თუმცა ამ ჩვენს თავდაჯერებულობას, ამ ჩვენს მტკიცე რწმენას არანაირი საყრდენი არ გააჩნდა — ჰაერში იყო გამოკიდული საჰაერო ბუშტივით და ქარის ერთი ძლიერი დაქროლება და ბუშტივით გასკდებოდა.

ბევრი არა, მაგრამ მაინც იყვნენ ადამიანები, ვინც ამ საყოველთაო ალტკინების და ეიფორიის ჟამს სიფხიზლეს და პრაგმატულად აზროვნების უნარს ინარჩუნებდნენ და ხელისუფლებას, ხალხს, მთელ ქვეყანას აფრთხილებდნენ, რომ ეს ზღვარგადასული თავდაჯერებულობა და რუსეთის წინააღმდეგ უკომპრომისო დაპირისპირება შეიძლებოდა ბუმერანგივით მოგვბრუნებოდა უკან და გადავეთელეთ, თუმცა ქვეყნის ჭირისუფლის და გულშემატკივრის პოზიციიდან გაჟღერებული ეს გაფრთხილებები უკიდურესად მტრულად და აგრესიულად აღიქმებოდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისგან, რომლებიც თვლიდნენ, რომ წყეული კომუნისტებისგან ქვეყანა მათ გაათავისუფლეს და ახლა მათი მმართველობის დრო დადგა.

ისინი თვლიდნენ, რომ პოლიტიკაშიც შესანიშნავად ერკვეოდნენ, ეკონომიკაც და



მართვის ტექნოლოგიებიც ბრწყინვალედ იცოდნენ, თუმცა მათი მსჯელობიდან ადვილად დაასკვნიდი, რომ სრულ უწიგნურობასთან, სრულ უვიცობასთან, სრულ სიბრიყვესთან გქონდა საქმე.

მათთვის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი სუკ-ის აგენტი და ქვეყნის მტერი და მოღალატე იყო.

დაახლოებით, დაახლოებით კი არა, ზუსტად ის სიტუაცია იყო, რაც არის დღეს, როცა ვიღაც რეგვენი და ხეპრე რუსეთის აგენტს, მონას ეძახის ადამიანებს, რომლებიც წინდახედულებისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებენ ქვეყანას.

ქვეყანა რომ ამოტრიალდება, ფსკერი ამოდის ზემოთ და მერე ეს ფსკერი, ეს დუნდგო და წვირე, ცდილობს საზოგადოების ცენზორის, საზოგადოების მორალური ზედამხედველის როლი იტვირთოს, რომ მის მიერ დამარხულ ჭკვიან და გონიერ ადამიანებს თავი არ წამოაწევინოს, ხმა არ ამოაღებინოს და ამით მოახერხოს, დიდხანს იტივტივოს ზედაპირზე.

ოცდაათი წლის წინათ ამოყირავებული ფსკერი ჯერ კიდევ არ ჩაძირულა, მას ანკეტა შეუცვალეს, სხვა სახელი დაარქვეს, მაგრამ ტექსტი ზუსტად იგივე დაუტოვეს, რაც ოცდაათი წლის წინათ დააზეპირებინეს...

საიდან მოჰყავთ ეს „სასტავი", რომელი კატაკომბებიდან ამოთხრიან ხოლმე, სად წვრთნიან, სად რყვნიან, სად აცლიან სულს და სულის ნაცვლად სად უდგამენ ყველას ერთ ხმაში მოლაპარაკე „პატეფონს"?

სხვათა შორის, ერთ ამბავს გეტყვით, რომელიც შეიძლება ბევრმა არ იცოდეს.

აი, მათ, რომლებიც ვითომ რუსეთს ებრძოდნენ და წესიერ ადამიანებს რუსეთის აგენტებს ეძახდნენ, ომის დამთავრების შემდეგ სწორედ რუსეთს მიაშურეს და რუსეთმაც ფართოდ გაუღო მათ სხვებისთვის მჭიდროდ დაგმანული კარები.

აი, ესენიც, დღეს საქართველოს პარლამენტის წინ ხმაშეწყობილად რომ ბღავიან, „რუსეთი ოკუპანტია!" და ის პოლიტიკოსებიც „ნაცმოძრაობიდან", რომლებიც პროდასავლურ ორიენტაციას აწვებიან და ისიც, უკრაინის მოქალაქე, გლდანის ციხეში რომ აფხარკალებს ფეხებს და პუტინის ტყვე ვარო, რომ გაჰყვირის, რუსეთის აგენტურაა, რუსეთის მეხუთე კოლონაა და თუ საჭიროება დადგება, მათაც ისევე ჩაიხუტებს გულში რუსეთი, როგორც მათი „წინაპრები" ჩაიხუტა 90-იან წლებში.

გამოდის ის, რომ „ნაცმოძრაობა", ეს ვითომდა „პროდასავლური" ძალა, წლებია მხოლოდ იმაზე მუშაობს, რომ საქართველო ვერც ნატო-ში გაწევრიანდეს, ვერც ევროკავშირში შევიდეს.

დიახ, ეს ასეა და თუ ეს ასეა, გასაკვირი არ არის, ამ აშკარად პრორუსულ ძალას ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები და მეგობრები ასე თავგამოდებით რომ მფარველობენ და პატრონობენ და ხან ამერიკელი კონგრესმენები რომ გვიქნევენ თითს და ხან ევროპარლამენტარები?!

ყოველივე ამის შემდეგ რა ვიფიქროთ და რა დასკვნა გამოვიტანოთ?

რა ცინიკური თამაშია ეს, რომელიც თამაშს კი არა, წამების სადისტურ რიტუალს უფრო ჰგავს.

ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან ვბრუნდებით, რადგან წინაც ჩიხია და უკანაც — ორმაგ ჩიხში ვართ ჩაჭედილი და ამ ორმაგ ჩიხში ჩაჭედილებს ხან კუბილიუსი გვიკითხავს დემოკრატიის შესახებ საგანმანათლებლო ხასიათის ლექციებს, ხან კელი დეგნანი, ხან ფოტიგა, ხან შარლ მიშელი, რომლებსაც ხშირ-ხშირად ავიწყდებათ, რომ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და არა ოროსანი მოწაფე, რომელსაც ბატონმა შარლმა საშემოდგომო გამოცდა გამოაყოლა და საპარლამენტო არჩევნებში რომ გაიმარჯვეთ, ეგ ამბავი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უნდა დაამტკიცოთო, დაგვიბარა.

ასე ესმით ამათ დემოკრატია — გადააბრუნებ — თეთრია, გადმოაბრუნებ — შავია, ხოლო ასეთ „დემოკრატიაში" ადამიანების მწამებელი — დემოკრატიის შუქურაა, ბანდიტი, ავაზაკი, ხაზინის ქურდი, პარლამენტზე იერიშის მიმტანი „შტურმავიკი" — პოლიტპატიმარი.

ჩვენ კი ვდგავართ და ომახიანად ვმღერით — „თავისუფლება დღეს ჩვენი მომავალს უმღერს დიდებას, ცისკრის ვარსკვლავი ამოდის, ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება".

რა თავისუფლება, რისი თავისუფლება, რა ვარსკვლავი, რისი ვარსკვლავი, როცა დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთ წელიწადში დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში დაგვდეს ბრალი და განაჩენიც გამოგვიტანეს.

●

მოტყუებული საქართველო, თავისუფლებით ნაცდუნები საქართველო, თავისუფლების ძიებაში გზააბნეული, ზვიად გამსახურდიასავით, იქითკენ წაიყვანეს, სადაც მსოფლიოს თემშარაზე ქვეყნების ძარცვასა და დაყაჩაღებაში გავარჯიშებული აბრაგები იყვნენ ჩასაფრებული.

**ბოლოსიტყვა:** დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან გზას რომ გააყოლებ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ხნის განმავლობაში დაჟინებით ცდილობდნენ, ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა რაღაც ჩარჩოებში მოექციათ, რომლის იქეთ გასვლა სახიფათო და საშიშ ნაბიჯად გვეთვლებოდა.

ასე მოვაღწიეთ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ" ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მომენტიდან იწყებს საქართველო გზადაგზა, ნაწილ-ნაწილ დაკარგული და შეკუმშულ-შემცირებული დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვებას.

2012 წლის ოქტომბერი, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელოვნურად გაწყვეტილი და შეჩერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირდაპირი გაგრძელებაა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც შეუძლებელი შესძლო და ნაციონალებს, ამ შინაურ დამპყრობლებსა და ოკუპანტებს, საქართველო ხელიდან გამოგლიჯა.

ვისაც რა უნდა ის დამაბრალოს, მაინც უნდა ვთქვა ის, რაც სიმართლედ მიმაჩნია — **ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს იგივე ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში, რაც ზვიად გამსახურდიამ.**

ბიძინა ივანიშვილმაც ზვიად გამსახურდიასავით თავის დროზე თავი გადასდო საქართველოსთვის და გმირ ქართველ ხალხთან ერთად ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი და, რაც მთავარია, მან თავისი განსაკუთრებული ნიჭიერების წყალობით შესძლო ამ უდიდესი მონაპოვრის შენარჩუნება.

ბიძინა ივანიშვილსაც, ამ ათი წლის განმავლობაში, ზუსტად იგივე მეთოდებით ებრძვიან, როგორც ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას.

ამოწიეთ იმდროინდელი პრესა, ნახეთ იმდროინდელი სატელევიზიო გადაცემები, ნახეთ იმდროინდელი მიტინგებისა და აქციების ამსახველი ვიდეოკადრები — ერთიერთში იმეორებს „ნაცმოძრაობისა" და მისი სატელიტი ოპოზიციური პარტიების პათოსს და პათეტიკას.

ჩვენ, უფროს და საშუალო თაობის ადამიანებს, ეს ყველაფერი საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი და ისიც კარგად ვიცით, როგორი ტრაგედიით დამთავრდა ეს ყოველივე საქართველოსთვის.

მხოლოდ გამსახურდია კი არ დაამარცხეს და დაამხეს მაშინ დემოკრატიის სახელს ამოფარებულმა ავაზაკებმა, საქართველო დაამარცხეს და დაამხეს, რის შემდეგაც ქვეყანა წელში ვერა და ვერ გაიმართა.

ახლა იგივეს გამეორებას ცდილობენ იმ ავაზაკების შთამომავლები, ხოლო მათი ბელადი, მთავარი ავაზაკი, გლდანის ციხიდან ახალ-ახალ ინსტრუქციებს და დირექტივებს აგზავნის, თუ როგორ უნდა დაამხონ ხელახლა ეს ერთხელ უკვე დამხობილი და ფეხზე წვალებით წამომდგარი ქვეყანა.

გამაგებინეთ, სასჯელს იხდის ეს კაცი თუ რევოლუციური შტაბბინა აქვს გახსნილი ციხეში?

ბარემ, ისიც გამაგებინეთ, ეს ის კაცი არ არის, ზვიად გამსახურდიას კავკასიის სადამ ჰუსეინს რომ ეძახდა, ახლა კი თავის თავს გამსახურდიას რომ ადარებს?

●

როგორც წერილში არაერთგზის აღვნიშნე, საქართველოს სიყვარული, ქართული სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგულება დღესაც საშიშია საქართველოში, განსაკუთრებით იმ ქართველებისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში არიან.

საკმარისია, ვინმემ მკვეთრად ეროვნული ხასიათის განცხადება გააკეთოს, ან ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც სადღაც ვიღაცის მიერ დადგენილ ტრაფარეტში არ ჯდება, მყისვე განგაშის სიგნალი ჩაირთვება და საზოგადოებას შიში იპყრობს — ეს საქართველოს გამოსარჩლებული კაცი საქართველოს გამოსარჩლების გამო თანამდებობიდან არ გაათავისუფლონ, ან რაღაც სხვა ფორმით არ დასაჯონო.

**განსაკუთრებით ხშირად ხდება ასეთი ამბავი ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველი კაცია და არც არასდროს დაუმალავს, რომ მისი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ემსახუროს საქართველოს და ქართველ ხალხს.**

**ყველას კარგად ახსოვს მისი განცხადება — ჩემი უფროსი რომელიმე ევროპარლამენტარი კი არა, ქართველი ხალხია!**

**მსგავსი რამ ასე ნათლად და ასე ღიად, საქართველოს დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან პერიოდში არავის უთქვამს.**

ჩემი აზრით, ეს განცხადება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების მთავარ დევიზად.

„ნაცმოძრაობამ", რომელიც ბევრს კი იფხორება, მაგრამ სინამდვილეში, მონური კომპლექსებით დასნეულებული ძალაა, ირაკლი ღარიბაშვილის ეს განცხადება დასავლური კურსიდან გადახვევად და რუსულ ორბიტაზე დაბრუნების მცდელობად შეაფასა და გახარებული და სახეგაბრწყინებული ელოდა, როგორ გადააყენებდნენ პოსტიდან პრემიერს, რომელმაც ასეთი „თავხედური" პოზიცია დააფიქსირა.

იყო ასეთი პოეტი, ალე ფეოდოსიშვილი, რომელმაც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში თქვა: „დედას მოვკლავ და დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას".

„ნაციონალები" კოლექტიური ალე ფეოდოსიშვილები არიან, რომლებიც დასავლეთს არწმუნებენ, რომ ძალაუფლებაში ყოფნის ფასად მზად არიან, ნებისმიერი დავალება შეასრულონ, მათ შორის, დედა, სამშობლოც, მოკლან და მამაც ზედ მიაყოლონ.

„ნაციონალები" პოლიტიკური სპეკულიანტები არიან, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით ვაჭრობენ.

**ამ ფონზე, ნამდვილი გმირობაა ის, რასაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება აკეთებს, თუმცა ამ გმირობას დანახვა, დაფასება, თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება საქართველოს თითოეული მოქალაქისგან, ვისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ღირსების საქმეა.**

ადრე ნათქვამს გავიმეორებ: „დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი, ერთხელ რომ მოიპოვებ და მერე სულ დამოუკიდებელი ხარ. დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო".

# „ქართული ფილმის“ საცავი ეროვნული განძია



*გვესაუბრება კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი რევაზ მახათაძე:*

**— ბატონო რეზო, როგორც ვიცი „ქართულ ფილმს“ კარგი ტექნიკური ბაზა ჰქონდა. რა ბედი ეწია მას?**

— კინო ხელოვნების წამყვან დარგად მიიჩნევა. ადრე, ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, ჰოლივუდში ვიყავი და იქ ყველა სტუდია შემოვლილი მაქვს. როცა მათ ვეუბნებოდით: ქართველები ვართ-თქო, ქართული კინოს მიმართ პატივისცემას დიდი მოწიწებით გამოხატავდნენ. ჩვენ დიდი რეჟისორები გვყავდა და გვყავს: ოთარ იოსელიანი, საშა რეხვიაშვილი, ძმები შენგელაიები, გოდერძი ჩოხელი, ფარაჯანოვი, დანელია, კალატოზოვი. ეს ხალხი ქართულ კინოს ქმნიდა და მსოფლიოს აცნობდა. მსოფლიომ საქართველო სწორედ ქართული ფილმით გაიცნო. დიახ, მიშა კობახიძის „ქორწილმა“ და „ქოლგამ“ მსოფლიოს ქართული კინო გააცნო.

როცა უცხოეთში ქართულ ფილმებს აჩვენებდნენ, ჩვენს ცნობილ რეჟისორებთან, უცხოელები თავად მოდიოდნენ. ერთ-ერთი ფილმის მონტაჟის დროს, დარბაზში „მოსფილმის“ დირექტორი სერგეი ბონდარჩუკი შემოვიდა და თავად გვითხრა: ამ ფილმს მე გავახმოვანებო. ქართულ კინოს ყოველთვის თავისი ღირსეული ადგილი ეკავა და სწორედ ამიტომაც მოვიდა თავად ჩვენთან ბონდარჩუკი.

აქვე გეტყვით, რომ „ქართულ ფილმს“ დღეს ექვსი დირექტორი ჰყავს. ამას წინათ სამი მათგანი გიორგი გაბუნიას კომედი შოუში იმყოფებოდნენ. მგონი, ქართულ კინოს სასაცილოდ არ აქვს საქმე. გაბუნიას რომ ეკითხა: კიდევ რამდენი დირექტორი ჰყავს თქვენს ორგანიზაციასო, არ შერცხვებოდათ პასუხის გაცემა?! რას აკეთებს ეს ექვსი დირექტორი, რამდენი ფილმი გადაიღეს, გუგუნებს ქართული კინო თუ რა ხდება?!

მე გული იცით რაზე მწყდება? — შენობაში, რომელიც ქართული ფილმის რეკვიზიტების და კოსტუმების საცავია, ერთ-ერთ სივრცეში სამქრო მოაწყვეს, სადაც წარმოებულ პროდუქციას საღებავებით ღებავენ. ეს საფრთხის შემცველია როგორც ჩვენთვის — ადამიანებისთვის, ასევე კინოფირებისთვის. საგანძურის გუშაგები უმძიმეს პირობებში ვართ.

საცავიდან ათასობით ფირია გადაყრილი — კინოფირებს წვავდნენ და იქიდან ვერცხლი ამოჰქონდათ. „მემატიანედან“ ათი ათასობით კოლოფი კინოფირია გატანილი, თანაც, 20-60-იანი წლების შავ-თეთრი, ყველაზე ძვირფასი კინომასალა.

მოგეხსენებათ, 55 წელია კინოინდუსტრიაში ვმოღვაწეობ. მთელი ეს წლები ქართულ კინოს შეგნებულად შევწირე. ბოლო წლებში დავინახე, რომ ქართული კინოს, კინოდოკუმენტების განადგურება დაიწყეს და უპატრონოდ დარჩენილი დარგის პატრონობა საკუთარ თავზე ავიღე. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის საცავი, რომელსაც ვპატრონობ და დღეს ზოგ-ზოგიერთების უგუნურობით საფრთხე შეექმნა. ამ არქივში 55 ათასზე მეტი ფირია დაცული. ეს ქვეყნის განძია. ქართული ფილმის ფირები, მოსკოვშიც ინახება, მაგრამ ვინ იცის იქიდან როდის წამოვიღებთ. საცავში 27 ათასი დოკუმენტური კინოფირი და 25 ათასი ქართული ფილმი, ანიმაცია და სასწავლო სტუდიის ფილმები ინახება. ასევე, რამდენიმე ათასი კოლოფი კინოფირია გასარჩევი და დასადგენი, თუ რა მასალაა მასზე განთავსებული. ამის განადგურების უფლებას ვერავის მივცემ. წეღან აღვნიშნე, რომ დაბლა სართულზე ქართული კინოს რეკვიზიტები, კოსტუმები ინახება, თითქმის, ასი წლის ქონება, რასაც საფრთხე შეექმნა.

ცოტა ხნის წინ კინოთეატრ „ამირანში“ ერეკლე ბადურაშვილის ფილმის „ხიდი“-ს პრემიერა გაიმართა. ამ ფილმის რეჟისორიც — ერეკლე ბადურაშვილი და ოპერატორიც — თამაზ გოგინაშვილი გარდაცვლილები არიან. სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა ოთარ იოსელიანიც. ოთარ იოსელიანი მსოფლიო კინოში ერთ-ერთი დიდი პიროვნება იყო. ასეთ დიდ ადამიანებს „ქართული ფილმის“ დირექტორმა წუთიერი დუმილით პატივიც კი არ მიაგო.

ორი წელია ექვსიდან „ქართული ფილმის“ არცერთი დირექტორი საცავში არ გადმოსულა და არ დაინტერესებულა, რა გვიჭირს. ქართულ კინოს, რომელსაც სძინავს და უფუნქციოდ არის დარჩენილი, ახალს არაფერს ქმნის, ექვსი დირექტორი რაში სჭირდება?! მრცხვენია, რომ „ქართულ ფილმს“ ამდენი დირექტორი ჰყავს. ახლა, ერეკლე ბადურაშვილის ფილმზე ვსაუბრობდი. „ქართული ფილმის“ დირექტორი ხათუნა ხუნდაძე გურულებზე, ფოლკლორზე ფილმს იღებდა და მერე აღარ დაასრულა. სამაგიეროდ, დაამთავრა ერეკლე ბადურაშვილის ფილმი „ხიდი“. ისეთი შეგრძნება მაქვს, გალაკტიონ ტაბიძის ნაწერი რომ მისცე, რომელიმე დაუმთავრებელი ლექსი, მის დასრულებას საკუთარ თავზე აიღებს.

დავუბრუნდეთ, სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმს“, რომლის სახელზე ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამდე, ბანკში 300 ათასი ლარი იყო. ახალი ხელმძღვანელობა რომ მოვიდა, ეს თანხა ბანკიდან უკვე გატანილი იყო. ეს აქციონერების ფული იყო. თუ ის ვინმემ მიითვისა, ამისთვის პროკურატურა არსებობს. 2800 აქციონერს თითოს სამი ათასიდან ათას ლარამდე ეკუთვნის. ეს მათთვის შეიძლება სულის გადარჩენაც იყოს. რაც შეეხება კინოსტუდია „მემატიანეს“, რამდენიმე წელი ხელფასის გარეშე დაგვტოვეს. მიზეზი არ გაინტერესებთ? — თურმე გაგა ჩხეიძეს არ ვუყვარდი. არადა, ოთხი წლის წინ, თავად მითხრა: კულტურის სამინისტრომ „მემატიანეს“ 120 ათასი ლარი გამოუყოო და მერე ეს თანხა გააქრეს. ხარჯთაღრიცხვა გავაკეთე და 60 ათასი ლარიც მყოფნიდა, ასევე, მოვითხოვე ვებგვერდის გაკეთება, რომელსაც 30 ათასი სჭირდებოდა. ეს დაფინანსება რომელიც კულტურის სამინისტრომ გამოყო, მერე სხვა მხარეს გაუშვეს. ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, ოთხ ადამიანს ქართული ფილმის საცავის მოსაწესრიგებლად ხელშეკრულება გაგვიფორმეს. „ეროვნული არქივის“ მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ კინოფირების საცავს უპატრონებდა, მაგრამ „ქართული ფილმის“ დირექტორებმა ჩვენი იქ მიერთება არ მოინდომეს. აქვე გეტყვით, რომ ექვსი წლის წინათ, საქართველოში კულტურის სამინისტროს მიერ მოწვეული იყო საფრანგეთის ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი, რომელიც სკანერის ჩუქებას დამპირდა, მაგრამ აქამდე ვერ ჩამომიტანეს. ეს საქართველოს კინოსაცავებისთვის დიდი საჩუქარი იქნებოდა.



ქართული ფილმის საცავს, რომელიც ამ ტერიტორიაზე იყო, ცეცხლი გაუჩნდა და ქართული ფილმის არქივი ნახევარზე მეტი დაიწვა, განადგურდა. მინდა „ქართული ფილმის“ დირექტორს თხოვნით მივმართო: მოდი, რაც დაგვრჩა იმას მაინც ნუღარ გავანადგურებთ. კინოფირების საცავს გაფრთხილება სჭირდება. წლების მანძილზე „ქართული ფილმის“ დირექტორების მიერ დანიშნული ჩემი ხელფასი 150 ლარს შეადგენდა და ერთი თეთრის მომატებაც არასდროს მითხოვია. „ქართული ფილმის“ ექვსი დირექტორიდან, სამსახურში არცერთი არ დადის, როგორც ექსკურსიაზე ისე მოდიან სამუშაოზე. სამსახურიდან ოცზე მეტი ადამიანი დაითხოვეს. ხომ გამოუთავისუფლდათ ამ ოცი კაცის ხელფასი (თითო 800 ლარზე მეტს იღებდა). ვთხოვე საცავისთვის ორი თანამშრომელი გამოეყოთ — დარაჯი და დამლაგებელი, რომელთაც ხელფასს გადაუხდიდნენ. მითხრეს: ჩვენს დარაჯებს გამოვგზავნითო. წარმოუდგენელია, ქუჩიდან აყვანილი კაცი შევიდეს საცავში, რომელსაც ამ ფირების მნიშვნელობის არაფერი გაეგება. ზაფხულში ჩემს „ფეისბუქზე“ პროვოკაციული ფოტო დავდე — 35 გრადუს სიცხეში წყლიან ტაშტში ფეხები ჩავყარე და თავზე ფირის კოლოფი დავიხურე. რა ხანია კონდიციონერებს ვითხოვ. ამ ფოტოს ნახვიდან, მეორე დღეს შვიდი კონდიციონერი მომიტანეს. რატომ უნდა მჭირდებოდეს „ქართული ფილმის“ დირექტორებთან ასეთი პროვოკაციული მოქმედებები. ამას წინათ წყალი ჩამოვიდა და დერეფანი დაიტბორა. საყვედური მითხრეს: ფირები ძირს რატომ გილაგიაო. თაროები მომიტანა ვინმემ და არ ვხმარობ?! ეს წესიერი ხალხი უხელფასოდ მუშაობს და ამ ფირებს პატრონობს, ქართული კინოს პატრიოტები არიან. კინოსტუდიაში როცა ვიყავით, გოდერძი ჩოხელი თავის მასალებს ოცი წელი ეძებდა და საცავში არავინ გაჰყვა, რომ ფირების პოვნაში დახმარებოდნენ. ძველი სტუდიიდან ფირები გადმოვიტანე და იქაურ, ერთ-ერთ დირექტორს ვთხოვე: ამ ფირების პატრონების ამოცნობაში მომხმარებოდა, რათა ეს ფირები, როგორც მათი დაუმთავრებელი ნამუშევრები, შემენახა. ასე მითხრა: მე დირექტორი ვარო. აბა, მე ვინ ვიყავი? — მაგრამ ქაფჩა და ჩაქუჩი მეჭირა და ამ კედლებს ვაშენებდი.

ერთმა ახლობელმა მითხრა: რეზო, რა არის ეს, „ქართული ფილმი“ სარიტუალო მომსახურების სამსახურად გადაკეთდაო. აქ სასაფლაოა თუ კინოსტუდიაო? რატომმეთქი და მიპასუხა: ჯვარი დაგიდგიათ აქ და სარიტუალო სამსახური მეგონაო. საქმე ისაა, რომ „ქართული ფილმის“ დირექტორმა ორგანიზაციას ლოგო შეუცვალა და ყველას სარიტუალო მომსახურება ჰგონია. კულტურის სამინისტროს შეუთანხმდა ლოგოს რომ ცვლიდა?!

2018 წელს ქართული კინოს 110 წლის საიუბილეო თარიღი იყო. ღონისძიება კულტურის სამინისტროს უნდა მოეწყო, მაგრამ ის „ქართული ფილმის“ დირექტორმა, აქ ეზოში აღნიშნა. ძველი თაობიდან ყველაზე ახალგაზრდა კინემატოგრაფისტი მე ვარ. მოხუცი ხალხი მოვიდა, ეგონათ გაწეული ღვაწლისთვის მინიმუმ მადლობას ეტყოდნენ, მაგრამ ესეც ვერ გაიმეტეს. ნუთუ, იმდენი საშუალება არ ჰქონდათ, რომ ოცი ადამიანისთვის თითო ყვავილი ეჩუქებინათ და მადლობა ეთქვათ.

30 წელია ქართული კინო ნადგურდება. არ მინდა „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობამ, რაც დარჩა ისიც გაანადგუროს. დარგს გადარჩენა სჭირდება. „ქართულ ფილმს“ პატრონი სჭირდება და თუ არ გამოჩნდა მაშინ ვაი, ამ ქვეყანას, რომელსაც ხვალინდელი დღე არ ჰქონია. ძალიან გული დამწყდება, რაც დაგვრჩა, ისიც ერთი ხელის მოსმით თუ გაცამტვერდება.

„ქართული ფილმი“ საკმაოდ დიდი ტექნიკური ქონების პატრონი იყო, მაგრამ ერთი საპროექციო აპარატი არ დაიტოვეს, ტრაბახობენ: 50 ტონა ჯართი ჩავაბარეთო. „ეროვნული არქივის“ დირექტორი ეხვეწებოდა ერთი დანადგარი მიეცათ, რომელიც ორგანიზაციას გამოადგებოდა, მაგრამ არ მისცეს. ყველა აპარატურა დაჭრილი გამოიტანეს და რამოდენიმე თვე გარეთ ეყარა, რათა განადგურებულიყო. ვის მოუვიდა თავში ასეთი ვანდალიზმი, არ ვიცი.

**— ბატონო რეზო, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი ბერლინალეზე იმყოფებოდა. ეს რამდენად შეუწყობს ხელს ქართული კინოს განვითარებას?**

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენი კინოს განვითარებას ხელს შეუწყობს, მოიზიდავს ინვესტიციებს. მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საკმაოდ მდარე ხარისხის ფილმებს იღებენ. ნუთუ, აღარ გვყავს კინომცოდნეები, კინოკრიტიკოსები, რომ რეცენზია დაიწეროს და შეფასდეს: ღირებულია თუ არა ის ფილმები, რაშიც დღეს თანხები იხარჯება. ტელევიზორის ყურებაც აღარ მინდა, ისეთი დაბალი ხარისხის ფილმები გადის. საშა რეხვიაშვილის, გოდერძი ჩოხელის და სხვა დიდი რეჟისორების ფილმები ფესტივალებზე რომ გადიოდა, პუბლიკა აღფრთოვანებას ვერ მალავდა. საქართველოც ატარებს ფესტივალებს. მესამე წელია „ქართული ფილმი“ მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. თუმცა „ქართული ფილმის“ დირექტორი თავის „ფეისბუქ“ გვერდზე წუხს, რომ უცხოეთიდან გამოგზავნილ ფილმებს არჩევს და ვერ ხვდება, რეპორტაჟი ფილმი რატომ ჰგონიათ. ანუ, რა გამოდის? — უგემოვნო, უხარისხო ფილმებს უგზავნიან?! ანუ, ამ ფესტივალს არ სცემენ პატივს და ასეთ მდარე ფილმებს ამიტომაც უგზავნიან?! მოდი, კინოს ძველი იერსახე დავუბრუნოთ და შევუნარჩუნოთ ის დიდება, რითაც ქართველი ყოველთვის ამაყობდა. ნუ გავანადგურებთ იმას, რაც დაგვრჩა — გადავარჩინოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს განძს.

**თამარ შველიძე**



# მიხეილის კვანძი

**გთავაზობთ, რედაქციის ფოსტაზე შემოსული უცნობი ავტორის სტატიას, მცირედი შემოკლებით, რომლის დასასრულს და „მოჯადოებული წრის“ გასაღებს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ**

ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა დონეზე არაერთხელ მოგვისმენია ქვეყანაში არსებული მოჯადოებული წრის შესახებ, რომ ხელისუფლებები იცვლებიან, ქვეყანა კი „მოჯადოებული წრიდან“ ვერ გამოსულაო:

ქ. თბილისში, დედაქალაქის გულში - რესპუბლიკის მოედანზე აღმართული ფრანგი მოქანდაკის გაურკვეველი შინაარსის გიგანტური ველოსიპედის ძეგლი, რომელიც მისი დადგმის დღიდან მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ზოგი ამ ველოსიპედს გულუბრყვილოდ „კამოს“ ველოსიპედს ეძახის. რას ემსახურება ველოსიპედი, რომელსაც ორი საჭე ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით აქვს განთავსებული? ველოსიპედის აღების მოთხოვნით იყო საპროტესტო გამოსვლებიც, მაგრამ, როგორც ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში ხშირად ხდება, ყოველგვარ სიმახინჯის გამოვლინებას ეჩვევა ხალხი. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

არაერთმა მოქალაქემ აღნიშნულ ძეგლში „უძრაობის სიმბოლო“ შენიშნა და მოითხოვა, რომ „თუ ველოსიპედს არ აიღებენ, საქართველოს მთავარ მოედანზე მაინც ნუ დატოვებენო და ერთი საჭე (რული) მაინც მოხსნან, წინ, რომ წავიდეთო“.

ორი ათწლეულის განმავლობაში, გარდა მოსახლეობის უკმაყოფილებისა, ჯერ სწორი შეფასება არ გაკეთებულა, თუ რა მიზანს ემსახურება სინამდვილეში ეს გაურკვეველი რკინის კონსტრუქცია, რომელიც უცხოელ მოქანდაკეს შეუკვეთეს და უდავოდ დიდი თანხა იქნა გაღებული.

კიდევ უფრო გაუგებარია ის ფაქტი, რომ ამ კონსტრუქციის დამკვეთი სააკაშვილის რეჟიმის ცვლილების მიუხედავად, ახალი ხელისუფლების პირობებში ხალხის აზრი დარჩა გაუთვალისწინებელი. რა კულტურული, შემოქმედებითი ღირებულება გააჩნია აღნიშნულ ეგრეთწოდებულ „ველოსიპედის“ ძეგლს, პასუხი ამაზე არა მგონია შესაბამის ორგანოებს ჰქონდეთ.

სინამდვილეში, ის კარგად გააზრებული კონსტრუქციაა - კვანძია.

გავაკეთოთ მოკლე ანალიზი და ვნახოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე.

●

გიგანტურ ველოსიპედს გააჩნია ორი საჭე, რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა განთავსებული. ორი დასაჯდომი სკამიც, საპირისპიროდაა განლაგებული. სკამები, თავის მხრივ, საჭესთან ზურგშექცევითაა განთავსებული. სკამებზე ერთიმეორის საპირისპიროდ მჯდომი ორი ველოსიპედისტი საჭესთან ზურგშექცევით (უკუღმად) აღმოჩნდება. ასე რომ, ერთი საჭის მოხსნის შემთხვევაშიც, ველოსიპედის მართვა მაინც შეუძლებელი იქნება.

ორსაჭიან, ორკაციან ველოსიპედს გააჩნია ერთი სამოძრაო მექანიზმი - ერთი პედალი. საჭეებთან ზურგშექცევით, ერთიმეორის პირისპირ მჯდომ ორ ადამიანს ჯერ მოუწევს ბრძოლა ველოსიპე-

16 გვ. →

# დირიჟორი - ამერიკა, ორკესტრი - ევროპა...

← 6 გვ.

მათი რესურსები ხელში ჩაიგდონ. სომხეთშიც ამიტომ მიდის რეგიონისთვის მიუღებელი ეს მოვლენები, მაგრამ ცალკე სომხეთში ისეთი ცეცხლი ვერ დაინთება, როგორიც მათ სურთ. თუმცა, თუ ნაღმი სომხეთსა და საქართველოში ერთად ააფეთქეს, ჩათვალეთ, რომ მათი მზაკვრული მიზანი მიღწეული იქნება.

დიდი ყურადღებით უნდა ვიყოთ შიდა საკითხებთან მიმართებით. ზოგიერთი ევროპელისთვის რომ გეკითხათ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მიცვალებულები ეყარა თბილისის ქუჩებაში, დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ სააკაშვილს. ამიტომ მათი შეფასებები, განცხადებები, კვლევები, თუ ეგრეთ წოდებული ექსპერტული ანალიზი ყურად არ უნდა ვიღოთ! პრაგმატულად უნდა შევხედოთ საქართველოს მდგომარეობას. პირველი ჩვენი ამოცანაა, მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე, მეორე - ამ ჭინკებს არ მივცეთ არეულობის შესაძლებლობა და მესამე - არჩევნების შემდეგ ვიყოთ მზად მათი პროვოკაციებისთვის. არცერთ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ „ნაციონალების“ და მათი უცხოელი ლობისტების მხრიდან არჩევნების დისკრედიტაციის მცდელობა, რადგან აღარ მეგულება მსოფლიოში ისეთი რამ, რაც შეიძლება მათ არ იკადრონ.

**- კონკრეტულად რა მიზნით შეიძლება სჭირდებოდეს აშშ-ს უკრაინა?**

- უკრაინა არის დიდი დენთის კასრი რუსეთის უბეში. რუსეთის აღმოსავლეთიდან აშშ-ის დიდი ქალაქების რაკეტებით დასაბომბად მხოლოდ რვა წუთია საჭირო. რადგან ეს უპირატესობა აშშ-ს არა აქვს, ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი იქნება, თუ მათი სარაკეტო ბაზები ნატო-ს მეშვეობით რუსეთს იგივე მანძილით მიუახლოვდება, ოღონდ დასავლეთიდან. ანუ მათი მიზანია, ნატო-ს ბაზები, მოსკოვთან და დიდ ქალაქებთან 6-8 წუთიან დისტანციაზე იხილონ. ეს არის მთელი „ანბანა“. ამ მიზნისთვის ისინი უკრაინასაც გადაწვავენ, საქართველოსაც და თუ რომელიმე ქვეყანა წინ გადაეღობა, იმასაც ზედ მიაყოლებენ!

თუ სახელმწიფოს არა აქვს საკმარისი ტექნოლოგიები, მას შეუძლია ეს ტექნოლოგიები შექმნას, ან შეიძინოს, მაგრამ თუ სახელმწიფოს არ აქვს რესურსი, ის სამუდამოდ სხვაზე იქნება დამოკიდებული. ამიტომ, რუსეთის რესურსები ამერიკისთვის მთავარი სამიზნეა. თუ ეს რესურსი ამერიკის ხელში გადავა, მაშინ მთელი მსოფლიოს სასაქონლო და საფონდო ბირჟები აშშ-ის კონტროლის ქვეშ იქნება.

**- თქვენი ვარაუდით, როდის და რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ეს ომი, რომელსაც უკვე ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა?**

- თუ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპი გაიმარჯვებს, შეიძლება რუსეთ-უკრაინის ომი უმალ დასრულდეს, მაგრამ მეორე საკითხია - რა მოხდება არჩევნებამდე. ნატო-ს ძალებმა კონცენტრირება დაიწყეს დასავლეთის მხრიდან, ანუ აძლიერებენ ძალებს და შეეცდებიან, არჩევნებამდე რაც შეიძლება გაამწვავონ სიტუაცია. ომის გაყინვა ან მარცხის აღიარება კი ნიშნავს არა უკრაინის დამარცხებას, არამედ მთელი ევროპისა და აშშ-ის დამარცხებას რუსეთთან. ეს იქნება ძალიან დიდი დარტყმა მათთვის. თუმცა, ისე ღრმად შეტოპეს, ახლა გაჩერება რთულია და რით დასრულდება ეს ყველაფერი, ჯერ კიდევ არავინ იცის! თუ მათ დაიყოლიეს დღევანდელი ევროკავშირის ბრიყვული მმართველი სისტემა, ძალიან დიდი ცეცხლი დაინთება, რასაც ევროპის ქვეყნების მთელი მოსახლეობა ეწინააღმდეგება. ხოლო თუ მოსახლეობამ დაჯაბნა ეს ნეოფაშისტური მმართველი რგოლი, ანუ - მიშა-ევროპა, მიშა-საფრანგეთი თუ მიშა-გერმანია... თუ ყველამ თავისი „მიშა“ დაამარცხა, ხომ კარგი, თუ არადა, მოსალოდნელია, რომ ფონი უფრო გამწვავდეს, დაიწყონ მასიური იარაღის გამოყენება, ომი გაიყინოს ან დასრულდეს ძალიან ცუდი რეზულტატით. შედეგად, მსოფლიოს ცხოვრების თავიდან დაწყება მოუწევს და თან უმძიმეს ვითარებაში.

**- როგორ ფიქრობთ, ზელენსკის როლი რაში მდგომარეობს ამ ყველაფერში, რისი გაკეთება შეუძლია მას და ვერ აკეთებს, ან არ აკეთებს?**

- ზელენსკი არის ჩვეულებრივი მიშა-უკრაინა. ის თუ არ იქნებოდა, მონახავდნენ სხვა მის მსგავსს, რადგან ეს მიზანი აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო. ანუ, უკრაინამ უნდა შეძლოს, რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეუქმნას რუსეთს, რისთვისაც სჭირდებათ მმართველი, რომელიც მათ მიზნებსა და ამოცანებზე იმუშავებს. ზელენსკის როლია, შეასრულოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რასაც დასავლეთი მიუთითებს, სანაცვლოდ, ისინი მას ყველაფერს მისცემენ. მას ხომ ბორის ჯონსონის ჩარევით შეთანხმებაზე უარი ათქმევინეს და მიაღებინეს ბრძანება, რომ უკრაინა არ დაჯდებოდა რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან. დასავლეთის თვალსაზრისით, არ ღირდა უკრაინაში ფულის ჩადება და ომში ფულის დახარჯვა, თუკი მათ გარანტია არ ექნებოდათ, რომ უკრაინა ხვალზეგ რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან არ დაჯდებოდა. ამის შემდეგ, კი ბატონო, თუ ასეთ ბრძანებას დაწერთ, მზად ვართ, ჯარებით და ფულით დაგეხმაროთო! წარმოიდგინეთ, როგორი დონის მარიონეტია ზელენსკი, რომელმაც ისეთ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა, რომ გამოსავალი არა აქვთ. მალე მას თვითონ უკრაინელები „გადაყლაპავენ“ და ისე მოექცევიან, როგორც სადამ ჰუსეინს მოექცა დასავლეთისგან აჟიტირებული საკუთარი მოსახლეობა. ამიტომ, ზელენსკის რჩება ერთი გამოსავალი - რასაც ეუბნებიან დასავლეთიდან, უნდა შეასრულოს! ისინი ჰპირდებიან, რომ თუკი მას პრობლემები შეექმნება, ალბათ, ჰავაიზეც წაიყვანენ და მთელ მის დარჩენილ ცხოვრებას უზრუნველყოფენ, რაშიც ეჭვი მეპარება. ასეც რომ იყოს, ზელენსკი თავის ხალხს დედამიწის ვერც ერთ წერტილში ვერ დაემალება, ვერსად ნახავს ადგილს, სადაც ამხელა სამხედრო დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეიძლება მშვიდად იყოს.



უკრაინის ომმა მთელი შენიღბული დასავლეთი გააშიშვლა. აღმოჩნდა, რომ ეს, ერთი შეხედვით კეთილშობილი, კანონმორჩილი ევროპა საკმაოდ ცივსისხლიანი, არათანმიმდევრული, ყოველგვარ რეალურ დემოკრატიას და რეალურ ლიბერალიზმს მოკლებულია. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა აწეწონ მდგომარეობა იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ საერთო მიზნებში ისტორიულად ზის. ევროპელები ყოველთვის იყვნენ კოლონიალისტები, თუმცა, თანამედროვე კოლონიალიზმი სხვაგვარად გამოიყურება: ისინი მზად არიან, მხარი დაგიჭირონ, მოგეფერონ და თავზე ხელი გადაგისვან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შენი ქვეყნის რესურსები და ეკონომიკური ბერკეტები მათ ხელში აღმოჩნდება, და თუკი ისინი შეძლებენ, გავლენა მოახდინონ შენი ქვეყნის მმართველობით რგოლზე. ეს არის თანამედროვე „დემოკრატია“ და „ლიბერალიზმი“.

ნონა ქარქაშაძე

# ამერიკაში შიზოფრენიული პროცესები მწიფდება



*გვესაუბრება ისტორიკოსი, ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— სოსო, ამერიკაში სუპერ სამშაბათს პრაიმერისში ტრამპმა გაიმარჯვა. რას მოუტანს აშშ-ს და, ზოგადად, მსოფლიოს ბაიდენი-ტრამპის დუელი?**

— დიახ, ტრამპი ოფიციალურად გახდა პრეზიდენტობის კანდიდატი. ნიკი ჰეილიმ თავისი კანდიდატურა მოხსნა. ბაიდენს კონკურენტი ისედაც არ ჰყავდა. ასე რომ, წინ ტრამპსა და ბაიდენს შორის მატჩრევანში გველოდება. აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ალაბამას შტატის გადაწყვეტილება გააუქმა, რაც ნიშნავს, რომ ბატონი დონალდი ამ შტატშიც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. გარდა ამისა, ტრამპმა უზენაეს სასამართლოს მოსთხოვა, მის იმუნიტეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს.

**— რამდენიმე დღის წინ ბაიდენმა ამერიკელ ხალხს სიტყვით მიმართა...**

— ეს უპრეცედენტოდ აბსურდული მიმართვა იყო. მან ისეთი სიგიჟეები ილაპარაკა, რომ საკუთარ თავს აჯობა. ამაზე მთელი მსოფლიო მედია საუბრობს, მხოლოდ ჩვენი, მონურ მორჩილებაში მყოფი მედია დუმს. ბაიდენმა ტრანსგენდერებს მიმართა, თქვენს მხარდამჭერებად მიგულეთო. შემდეგი სიბრძნე იყო: უკრაინაში არცერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ ომობს, მაგრამ ჩვენ არ დავნებდებითო. ომის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე არაფერი უთქვამს. მისი გამოსვლა აბსურდისა და აგრესიულობის ნაზავი იყო. აშშ-ის სამხრეთ საზღვარი მისი პოლიტიკის შედეგად მოღიავებულია და ის ათასობით არალეგალმა გადალახა. ბუნებრივია, სამხრეთამერიკული ნარკოკარტელები, დანაშაულებრივი ორგანიზაციები ამ ვითარებას შესანიშნავად იყენებენ. შედეგად, აშშ-ში დანაშაულთა რიცხვი გაიზარდა. ბაიდენს დარბაზიდანაც დაუყვირეს, თუ როგორ მოკლა ამ დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთმა წევრმა ახალგაზრდა გოგონა. ბაიდენმა უპასუხა, გასაგებია, რომ არალეგალმა მოკლა, მაგრამ ლეგალებიც ხომ კლავენ ხალხსო. ამ პასუხმა ყველა აღაშფოთა. მისი გამოსვლა ტყუილებით იყო გაჯერებული, დანაშაულის რიცხვი კლებულობს, ინფლაციამაც იკლოო, არადა, პირიქითაა. მის უკან კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი მაიკ ჯონსონი იჯდა, რომლის მიმიკები აღშფოთებას, სასოწარკვეთას, დაცინვას გამოხატავდა. მეორე მხარეს იჯდა შეურაცხადი კამალა ჰარისი, რომელიც ბაიდენის ნათქვამ ყოველ სისულელეზე წამოხტებოდა და „დემოკრატებთან“ ერთად ტაშს უკრავდა. 2020 წელს, როცა ამ უდიდესი პარტიის პრაიმერისი ვნახე, ვთქვი, რომ ამერიკა ასეთი მასობრივი შიზოფრენიის ფონზე უდიდეს პრობლემებს გადაეყრება და ამაში მთელ მსოფლიოს ჩაითრევს-მეთქი. წარმოიდგინეთ სიტუაცია, დარბაზი სავსე იყო, სადაც „დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატების წარდგენაზე ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს არამარტო ტრანსგენდერების უფლებას, გაიკეთონ აბორტი, არამედ ამ პროცედურის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას მოითხოვს, რასაც მქუხარე ტაში მოჰყვა. საუბარია ქალად გადაკეთებული ბიოლოგიური კაცის დაორსულებაზე, რომელსაც აბორტის გაკეთების უფლება უნდა ჰქონდეს, თანაც სახელმწიფომ უნდა დააფინანსოსო. როგორ შეიძლება ამის მერე ამერიკის დემოკრატიაზე, პოლიტიკაზე ვისაუბროთ. ეს ჩვეულებრივი შიზოფრენიაა.

გავიხსენოთ, რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რაც დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამ კრების შედეგებმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცება-ცენტრალიზებაში. რადგან ახალი დავით აღმაშენებელი არც აშშ-ში ჩანს და არც საქართველოში, ამიტომ მოსალოდნელია შიზოფრენიული პროცესების შემდგომი განვითარება. ენტონი ბლინკენიც ნუ დაგვავიწყდება, რომელმაც თანამშრომლებს მოუწოდა, საუბრისას თავი შეიკავონ ისეთი გამოთქმებისგან, როგორებიცაა: დედა, მამა, ვაჟი, ცოლი... მას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გენდერული, ნეიტრალური ტერმინები შემოაქვს. ამის მერე რაზე ვლაპარაკობთ. არადა, ამერიკა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფო, ჰეგემონია, რომლის შემადგენლობაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ასევე, მსოფლიო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაერო, მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ცენტრი. დოლარს კოდალას გულმოდგინებით უთხრიან ძირს. აი, ეს ვითარებაა აშშ-ში. პრობლემა კიდევ იცით, რა არის? — ამ მავნებელ ბებერს, რომელიც ჭერში ჭინკებს ელაპარაკება, ყველა დემოკრატიულ შტატში ხმას აძლევენ. არსებობს დემოკრატიული, რესპუბლიკური და ე. წ. მერყევი შვიდი შტატი. ამერიკული შტატების თითქმის ნახევარი ბაიდენს ირჩევს. ეს სასაცილოც აღარ არის. არადა, იგი აბსოლუტურად არაადეკვატური და მავნებელია. ამბობს, რომ ტრანსგენდერი მოსწავლეების უფლებებს დაიცავს, თან გამოაცხადა, ტრანსგენდერები ამერიკის სულს განასახიერებენო. ბაიდენმა და მისმა საოცარმა გუნდმა „აღმოაჩინა“, რომ ამერიკას სული აქვს და თან ის ტრანსგენდერულია!!! სამწუხაროა, რომ ნახევარი ამერიკა კვლავ ამ სიგიჟეს აძლევს ხმას. ამასთან, მათ ხელშია ატომური იარაღი და ტექნოლოგიები. კაცობრიობის ტრაგედიაა, რომ ტექნიკური პროგრესის მთელი ნაყოფი ფსიქოპათების ხელში აღმოჩნდა. ამ თანამედროვე დასავლურ ელიტას რომ ვუყურებ, მეტაფიზიკური ძრწოლა მიპყრობს, რომელიც აბსოლუტურ შიზოფრენიაშია გადაზრდილი.



**— რადგან ამერიკულ შიზოფრენიაზე ვსაუბრობთ, რა ხდება ამ კუთხით საქართველოში? ხელისუფლება ამზადებს კანონპროექტს, რაც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან დაიცავს, თუმცა ოპოზიცოა დუმს...**

— **ოპოზიცია ამ კანონპროექტს მხარს ვერ დაუჭერს. დიახ, გასუსულები არიან, რადგან ხელი გეიმემორანდუმზე აქვთ მოწერილი**. ამის სანაცვლოდ კელი დეგნანი და ევროპელი პარტნიორები მათ ხელისუფლებაში მოყვანას დაჰპირდნენ. ოპოზიციის ხელმოწერილი გეიმემორანდუმი ერთგვარი მარკერია. ხელისუფლებაში მაინც ვერ მოვიდნენ — ჩაიხადეს, მაგრამ არ გადაუხადეს და კიკუსავით შეშლილები დარჩნენ. მერე ჩიოდნენ, გეიმემორანდუმზე რომ მოგვაწერინეთ ხელი და ხელისუფლებაში მოსვლას დაგვპირდით, ახლა რა ვქნათო. გახსოვთ, შალვა ნათელაშვილი „ფანჩატურიდან“ სიბრძნეებს რომ ისროდა: მთავარია, პროპორციული არჩევნები ჩატარდეს, პლანეტებიც კი პროპორციულად არის განლაგებულიო. ყველა გიჟი „ფანჩატურში“ აღმოჩნდა. საოცარ პერსონაჟებს ვხედავთ, განსაკუთრებით გეიმემორანდუმის წევრებს. ამიტომ ამ კანონპროექტს ვერ მიემხრობიან და, ბუნებრივია, ამასაც გააპროტესტებენ. თუმცა ვერც საარჩევნო კამპანიას წარმართავენ ისე, რომ კარდაკარ იარონ და მოსახლეობას, ლგბტქ+ გახდითო, შესთავაზონ. კანონპროექტზე დადებითის თქმას ვერ ბედავენ, რათა თავიანთი პატრონები არ გააბრაზონ, თორემ დაფინანსებას შეუწყვეტენ. ფიზიკური დაზიანებისაც ეშინიათ. აგერ, რა დღეშია იაგო ხვიჩია. იგი პიონერია ამ საქმეში. ძალიან მალე მოიმკიან იმ ნაყოფს, რაც დასთესეს. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს, თუ როგორ არკვევენ ურთიერთობებს კოლაბორაციონისტებთან და სამშობლოს მოღალატეებთან. ამისთვის ავღანეთის მაგალითიც კმარა. ავღანური სპეცრაზმის წევრებს, რომლებიც ავღანეთში ბრიტანელებთან ერთად იბრძოდნენ, ამ უკანასკნელებმა თავშესაფარზე უარი უთხრეს. წარმოგიდგენიათ, თალიბები რა მეთოდებით გაუსწორდებიან?! აი, ეს ვითარებაა.

ასე რომ, ხელისუფლების ინიციატივას მივესალმები. ფსევდოლიბერალური იდეოლიოგიის წინააღმდეგ კანონი უნდა მიიღონ მთელი სისრულით — სანქციებიც უნდა დაწესდეს და ამ უმსგავსობის პროპაგანდა კრიმინალიზებული იყოს. **სკოლებში რომ ეწევიან პროპაგანდას და სახელმძღვანელოებს ბეჭდავენ, იქნება ეს სულაკაურის თუ სხვა გამომცემლობები, მათი ქონების კონფისკაცია უნდა მოხდეს. ბავშვების გონების მოწამვლა არავის უნდა ეპატიოს. ამ საკითხის მიმართ შეურიგებელი და უმკაცრესი ზომების მომხრე ვარ.**

იგივე სიმკაცრეა საჭირო ნარკოტიკების გამავრცელებლებთან. ეს პირდაპირ ერის ამოწყვეტის, სულიერი და ფიზიკური განადგურების პოლიტიკაა. სკოლებში აღმზრდელობითი ღონისძიებები უნდა ჩატარდეს. ტელევიზიებით პირდაპირ ამ უმსგავსობის პროპაგანდა მიდის! განათლების სამინისტრო რამე პროგრამას ახორციელებს სკოლებში, მხოლოდ გრანტებს რომ არიან დახარბებულნი? ბავშვებს აუხსნან, რას იწვევს სინამდვილეში იგივე ლგბტქ+ და ნარკოტიკები. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ რას აკეთებს ამ მიმართულებით?! ჩვენ ვერც კი ვაცნობიერებთ, რამდენად ღრმა ორმოში ვვარდებით, რადგან, ფაქტობრივად, ახალგაზრდობა გვეღუპება, დემოგრაფიული კატასტროფა გვაქვს. ეს კარგად უნდა გავაანალიზოთ.

**— ბაიდენი პარტნიორ ქვეყნებს სთხოვს, უკრაინას სამხედრო შეიარაღებით დაეხმარონ. აქეთ, უკრაინისთვის სამხედრო ხომალდებს აშენებს თურქეთიც...**

— შეგახსენებთ ზელენსკის სიტყვებს: რუსეთი უკრაინის გარეშე რეგიონული მნიშვნელობის სახელმწიფოა, ხოლო მასზე კონტროლის შემთხვევაში, ის ზესახელმწიფო ხდებაო. ამას განსაზღვრავს დემოგრაფიული, გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური მხარე, ასევე, უკრაინის მდებარეობაც. კონფლიქტის ინსპირატორი დასავლეთის (ამერიკა, ბრიტანეთი) მიზანი, რუსეთის დამორჩილება იყო, რომელიც მისთვის იაფი რესურსების წყარო იქნებოდა. მათი სტრატეგია ასეთი იყო: ჩინეთთან დასავლეთის დაპირისპირების შემთხვევაში, რუსეთი მათი მოკავშირე იქნებოდა. გარდა ამისა, არსებობს კიდევ რუსეთის დაშლის სტრატეგია, რასაც ვიქტორია ნულანდი ახორციელებდა, რომელიც თანამდებობიდან მოხსნეს, რადგან მის მიერ წარმოებული პოლიტიკა არაეფექტური აღმოჩნდა. ბოლო 300 წლის ისტორიამ აჩვენა, რომ საზღვაო ცივილიზაციის ქვეყნები — ბრიტანეთი და მისი კლონი აშშ, ტონის მიმცემები არიან. კონტინენტური სახელმწიფოები, ძირითადად, თავდაცვის რეჟიმში არიან. თუ იმარჯვებენ, ტერიტორიულ კონტროლს და ბუფერულ ზონებს აფართოვებენ. ესაა ამ დაპირისპირების არსი.

დასავლეთის სტრატეგიამ არ გაამართლა — რუსეთის ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ეს არის ქვეყანა, რომელიც მსოფლიო რესურსების თითქმის 45%-ს აკონტროლებს. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ რუსეთი ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა, არასწორია. ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყნები ვერ აწარმოებენ ამ რაოდენობის იარაღს, ძრავებს მეხუთე თაობის თვითმფრინავებისთვის, კვანტური კომპიუტერის ტექნოლოგიებს, ატომურ ენერგეტიკას. ჩვენ რადგან ამ იმპერიის ნაწილი ვიყავით, ამ სივრცის ცენტრის ტექნოლოგიურ და სამხედრო შესაძლებლობებს ვერ ვაფასებდით. რაც ჩვენს მედიაში ხდება, სრული ბოდვითი მდგომარეობაა. ზელენსკიმ, ლიბერალების მიერ ახალ ჩერჩილად გამოცხადებულმა გმირმა თქვა: ომში 11 ათასი უკრაინელი და 400 ათასი რუსი დაიღუპაო. ასე ანუგეშებს უკრაინელებს — უფრო ბევრი რუსი კვდებაო. ამ დროს იქვე ამბობს, რუსები ათს რომ გვესვრიან, ჩვენ ერთს ვესვრითო. მაშინ როგორ იღუპებიან რუსები უფრო მეტნი?! იგივეს გავიმეორებ, რაც ბაიდენზე ვთქვი, ესენიც აბსოლუტურ ფსიქიკურ აშლილობაში იმყოფებიან. სამწუხაროდ ავლიპი გარდაცვლილია, ცოცხალი რომც იყოს, მათ მაინც ველარ უშველიდა.

**თამარ შველიძე**

# ახლა საით უნდა წავიდეთ?



პოლიტიკური მოვლენებით დახუნძლული აღმოჩნდა გასული კვირა. პოლიტოლოგების ყურადღება, ძირითადად, აშშ-ისკენ იყო მიპყრობილი, სადაც, სამშაბათს ერთბაშად 15 შტატში, პრაიმერსი ჩატარდა. „სუპერ სამშაბათის“ პრაიმერსის მიმართ, ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ მშობლიურ შტატში, სამხრეთ კაროლინაში დამარცხებულმა ნიკი ჰეილიმ, გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლა, ანუ პრაიმერშიც მოესინჯა ძალა.

რესპუბლიკელების პრაიმერში ლიდერი 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იყო, თუმცა, ინტრიგას ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია და საერთოდ დემოკრატიული პარტია ყოველნაირად ცდილობდა, ტრამპი საპრეზიდენტო არჩევნებს ჩამოეშორებინა. ერთ-ერთი შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტრამპს, უკვე აქვს დაკისრებული 500 მლნ-იანი ჯარიმა, რაც წინასაარჩევნოდ მისთვის დიდი დარტყმაა. თუმცა, დონალდ ტრამპს დონორად ცნობილი მილიარდერი ილონ მასკი მოევლინა.

პრაიმერში მოულოდნელობა არ მომხდარა, ტრამპმა 15 შტატიდან 14-ში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. დამარცხების შემდეგ, ნიკი ჰეილიმ ოფიციალურად შეწყვიტა პრეზიდენტობისთვის ბრძოლა, ტრამპს წარმატებები უსურვა, მაგრამ, რატომღაც, მომხრეებს არ მოუწოდა, მხარი ტრამპისთვის დაეჭირათ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პრაიმერსის ჩატარებამდე, კალიფორნიაში ტრამპის მომხრეებმა ლგბტ დროშების გამოფენა და პროპაგანდა აკრძალეს. თავად დონალდ ტრამპი ამომრჩეველს ჰპირდება, ეკლესიისა და სარწმუნოების როლის წინ წამოწევას, რაც დღეს აშშ-ში დაკნინებულია. ამ გარემოებამაც განაპირობა ტრამპის წარმატება.

დემოკრატიული პარტიის უპირობო ლიდერი იყო და კვლავ რჩება მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, თუმცა მას დამშვიდების საფუძველი არა აქვს. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მან უკვე დაკარგა აფროამერიკელი მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა. ტრამპის ბანაკში გადაინაცვლა დემოკრატების ბევრმა ერთგულმა მხარდამჭერმაც. ამის მიზეზად ასახელებენ ინფლაციას და ქვეყანაში იმიგრანტების რაოდენობის ზრდას.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ახლახან, ტეხასის შტატში ბაიდენი და ტრამპი ერთდროულად ჩავიდნენ. თუმცა, ჯო ბაიდენი უშუალოდ საზღვართან არ მისულა, საიდანაც შეედინებიან არალეგალები. სამაგიეროდ, შტატის გუბერნატორმა არ ისურვა პრეზიდენტთან შეხვედრა. იგი, ტრამპთან ერთად, საზღვარზე იმყოფებოდა.

პრაიმერში გამარჯვება ერთია, მაგრამ რეალურად ვინ მიიღებს საპრეზიდენტი არჩევნებში მონაწილეობას, ჯერ კიდევ უცნობია. რესპუბლიკური პარტიის ყრილობა, სადაც ოფიციალურად უნდა წარადგინონ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატი, ივლისში გაიმართება. დემოკრატების - უფრო მოგვიანებით, აგვისტო-სექტემბრის დასაწყისში. ტრამპს კიდევ ერთი ბარიერი აქვს გადასალახი - აპრილის ბოლოს მორიგი სასამართლო პროცესი ელის. თუ გამართლდა, წინ უკვე ვეღარავინ დაუდგება.

სკანდალური აღმოჩნდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის აშშ-ში ჩასვლა. იგი პირდაპირ ფილადელფიის შტატის ქალაქ მალაგაში ესტუმრა დონალდ ტრამპს. მან მასპინძელს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერა ღიად გამოუცხადა. აღსანიშნავია, რომ ტრამპის მეუღლე მელანია, თითქმის 4 წელია, საჯარო სივრცეში აღარ გამოჩენილა. ამჯერად ორბანს ისიც შეხვდა და სტუმრისგან თაიგულიც მიიღო. ტრამპმა და ორბანმა პირისპირ დახურულ კარს მიღმა საათზე მეტხანს ისაუბრეს. ორბანის შეფასებით, კონფლიქტების შეჩერება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ასევე უკრაინა-რუსეთის ომის დასრულება, მხოლოდ ტრამპს ხელეწიფება. „ურაინისთვის გაცილებით კარგი და მომგებიანი იქნება, თუ თეთრ სახლში ტრამი დაიკავებს ადგილს“ - განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

უცნაური ფაქტი მოხდა - ვიქტორ ორბანმა უარი განაცხადა ჯო ბაიდენთან შეხვედრაზე. პოლიტიკის ისტორიაში, სავარაუდოდ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ქვეყნის მოქმედი მეთაური ჩასულიყო სხვა ქვეყანაში და იქაურ ქვეყნის მმართველს არ შეხვედროდა. მომხდარით განრისხდა ჯო ბაიდენი და ვიქტორ ორბანი „ევროპელ დიქტატორად“ მოიხსენია.





განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, ასევე, ჯო ბაიდენის კონგრესში გამოსვლამ, რომელმაც მოსახლეობისადმი და საკანონმდებლო ორგანოსადმი ყოველწლიური ტრადიციული მიმართვა გააკეთა. ბაიდენმა თავისი გამოსვლა უკრაინაში მიმდინარე ომზე საუბრით დაიწყო. იქვე კონგრესს მოუწოდა, რომ დროულად დაამტკიცონ უკრაინისადმი დახმარების პაკეტი, რათა უკრაინამ შეძლოს მოიგერიოს რუსეთის აგრესია. მას არ დავიწყებია რუსი კოლეგის ვლადიმირ პუტინის მკაცრი კრიტიკა, რომელიც თავის გამოსვლაში 8-ჯერ მოიხსენია. ბაიდენის განცხადებით, მას შესწევს ძალა, მეორე ვადითაც მართოს ქვეყანა.

ანალიტიკოსების შეფასებით, ბაიდენს თავის მიმართვაში არ უსაუბრია იმ ძირითად საკვანძო საკითხებზე, რომელიც ქვეყნის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია და აინტერესებთ. მათივე შეფასებით, ბაიდენის გამოსვლა, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო განცხადება იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ბაიდენმა კონგრესში გამოსვლისას, მისთვის უჩვეულოდ, მხნედ და სწრაფად ისაუბრა. ხმამაღლა ლაპარაკობდა და ზოგჯერ ყვირილზეც გადადიოდა. ბაიდენის აქტიურმა გამოსვლამ გააოცა როგორც პოლიტიკოსები, ასევე, ექსპეტრ-ანალიტიკოსები. მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ბაიდენი სტიმულატორების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ჯო ბაიდენის გამოსვლისას თვალშისაცემი იყო ვიცე პრეზიდენტის კამალა ჰარისის აქტიურობა.

მოხსენების დასრულების შემდეგ ტრიბუნიდან ჩასულმა ბაიდენმა უმწეოდ იკითხა: „ახლა საით წავიდეო?“ მას რამდენჯერმე უჩვენეს გზა, ბოლოს კი დაცვის ოფიცერემა გააცილა გასასვლელკისკენ. კონგრესში გამოსვლის მეორე დღეს, ჯო ბაიდენი აშკარად მოთენთილი და მოშვებული, ანუ თავის სტიქიაში იყო.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ვითარება კვლავ მწვავეა. რამადანის დადგომის მიუხედავად, ისრაელის ხელისუფლება ცეცხლის შეწყვეტაზე კი არა, დროებით ზავზეც უარს აცხადებს. საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსები ცდილობენ დაიყოლიონ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ღაზას სექტორში ცეცხლი შეწყვიტოს. გავრცელებული ინფორმაციით, თეთრი სახლის ადმინისტრაციაში უკვე ღიად აფიქსირებენ უკმაყოფილებას ნეთანიაჰუს გატარებულ პოლიტიკაზე.

გასულ კვირას ჯო ბაიდენმა საჯაროდ გაკიცხა ნეთანიაჰუ: „იგი თავის მოქმედებებით აზარალებს ისრაელის სახელმწიფოს და მოკავშირეებს აკარგვინებს“. ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, პალესტინელ მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნება იერუსალიმის მეჩეთში ლოცვების აღსავლენად.

წითელ ზღვაში კვლავ აქტიურობენ იემენელი ჰუსიტები. გასულ კვირას კვლავ დააზიანეს სატვირთო გემი, რომელიც ჩაიძირა. ამავე დროს, ჰუსიტებმა უპილოტო საფრენი აპარატებით აშშ-ს სამხედრო გემებს შეუტიეს. მომხდარი პენტაგონშიც დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ სამხედროებმა წითელ ზღვაში 37 უპილოტო აპარატი გაანადგურეს. რაც შეეხება ზღვაში ინტერნეტ-კაბელების დაზიანებას ჰუსიტები აცხადებენ, რომ მათი ნამოქმედარი არ არის. ჰუსიტებს ეთანხმებიან საერთაშორისო სამხედრო ექსპერტები და აცხადებენ, რომ შეიარაღებულ დაჯგუფებას არ გააჩნია არც ტექნიკური და არც სხვა საშუალებები ზღვაში 300 მეტრის სიღრმეში ჩასასვლელად და იქ რაიმე ქმედების განსახორციელებლად.

ყოველდღიურად მწვავე სიტუაციაა უკრაინაში, განსაკუთრებით, ქალაქ ავდეევკის დაკარგვის შემდეგ. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ანალიტიკოსები მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებაში ხედავენ.

გასულ კვირას უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი თურქეთში იმყოფებოდა. მასპინძელმა კოლეგამ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ერთობლივ ბრიფინგზე მას შესთავაზა, რომ თურქეთი მზად არის უმასპინძლოს სამშვიდობო სამიტს რუსეთის მონაწილეობით. ზელენსკიმ უარი განაცხადა რუსეთთან დიალოგზე და ქვეყნის სამშვიდობო სამიტში მონაწილეობაზე. „ჯერ მოკავშირე ქვეყნები შეიმუშავებენ სამშვიდობო გეგმას და ამის შემდეგ გადაწყდება რუსეთის მონაწილეობის საკითხი სამშვიდობო მოლაპარაკებებში“ — თქვა ზელენსკიმ.

სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა ზელენსკის რომის პაპმაც. „სიმხდალე არ არის აღიარო წაგება, დამარცხებულმა თეთრი დროშა აღმართო. ამით ბევრ სიცოცხლეს გადაარჩენ“ — თქვა პაპმა შვეიცარულ გამოცემასთან ინტერვიუში, რასაც მსოფლიოში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

როდის გაიმარჯვებს მსოფლიოში სალი აზრი და დასრულდება სისხლისღვრა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია.

**გია ბურდული**

# „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“

**გური ოტობაიას „შეუთავსებელთა შეთავსების“ წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ნარკოლოგიური პრობლემატიკა. გთავაზობთ რეცენზიას ნინო ჯიბუტის მიერ თარგმნილ წიგნზე: „მე, მეგობრები და ჰეროინი“, რომელიც დასახელებული ხუთწიგნეულის ერთ-ერთი სულშემძრავი შენაკადია (იბეჭდება შემოკლებით). ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@ gmail.com**



წერილი მეათე:

**ნინო მიხეილის ასული ჯიბუტი** ქრისტეს ასაკის ქალიშვილია, მაგრამ მან უკვე მოასწრო მრავალი მწვერვალის დაპყრობა მეცნიერებაში. ის ჯერ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახდა მეცნიერებათა დოქტორი იურისპრუდენციაში. შემდგომ შემოიარა — **ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის, საარბრიუკენისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები**. ამ მოკლე დროში შექმნა და გამოაქვეყნა სამი მონუმენტური მონოგრაფია ინგლისურ, გერმანულ და ქართულ ენებზე. ჩვენთვის აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია **„სარეიტინგო კომპანიების სამართალი“**, რომელმაც, ფაქტობრივად, ბელეტრისტიკისკენ უბიძგა ქართველ გოგონას.

2017 წელს ნ. ჯიბუტმა მშვენიერი ქართულით თარგმნა **ჰერტმან კაისა** და **რიკ ჰორსტის** აუდიოჩანაწერების მიხედვით შექმნილი ბესტსელერი **„ჩვენ, ბავშვები ცოოს მეტროსადგურიდან“** გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების აღმოსავლეთ გერმანიის ახალგაზრდობაზე, სადაც ჰეროინი მოუცილებელი თეთრი სიკვდილია და საჭირო დოზის მოსაპოვებლად ისინი არაფერს ერიდებიან — საკუთარი სხეულის გაყიდვაა ეს თუ სხვათა ვნებების დაკმაყოფილება 30 მარკად. ამ ნაწარმოებმა მრავალი ჯილდო მოიპოვა გერმანიაში, ავსტრიაში და მის მიხედვით შექმნილმა ფილმმა კი არნახული ფურორი მოახდინა ევროპის მაყურებელზე.

საკითხავია, რის გამო ვიხიბლებით **ცოოს ბავშვების ცხოვრების ამსახველი წიგნის კითხვისას**? რა არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ბურლაკებივით მიაცურებენ თავთხელ მდინარეში ხომალდს?! და ეს, უწინარესად, გახლავთ მეორე მსოფლიო ომით წარმოქმნილი დაყოფები, დანაწევრებანი პოლიტიკური ნიშნით — **აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინი**. დიახაც, ამ პროცესების სათავეებთან მყოფ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს — განზრახული ჰქონდათ გერმანიის დემოგრაფიული მოსარგალება ფერადკანიანი მამაკაცების მასობრივი შემოყვანით, რათა მათ ფრაუებს თმახუჭუჭა ჰანსები შესძენოდათ ჟანგისფერი ღაწვებით და არასდროს შეეწუხებინათ თავი მსოფლიოს ბატონობაზე ფიქრით. ამ ყველაფერს მაშინ ერთადერთი სტალინი აღუდგა წინ ჩვეული კატეგორიულობით: **გერმანია იყო, არის და იქნება იქ, სადაც ფორმირდა ეთნოფსიქოლოგიურადო**. და რადგანაც დემოგრაფიულმა ხერხმა არ გაუმართლა ოლიგარქიულ მსოფლიოს, გამოინახა სხვა შარები — თეთრი სიკვდილი — ნარკოტიკი, ჰეროინი.

საქართველოშიც დაახლოებით იგივე სქემა ტრიალებს: **„ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ სამკურნალო დაწესებულებებში მიიღებულია 16 291 პირი (16 192 კაცი დ 99 ქალი) და დაფიქსირებულია მკურნალობის 17 969 შემთხვევა (17 866 კაცი და 103 ქალი). ამოღებულია (კილოგრამებში): კანაფი 2 497,2; ჰეროინი 7,7; სხვა ოპიოიდები 62,8; კოკაინი 2,4; მდმა 0,3; მეტამფეტამინი 0,2; სხვა სტიმულატორები 23,2.** ეს მონაცემები სამი წლის წინანდელი გახლავთ. ეს სრული მონაცემები არ არის, რადგან ბევრი რეალური ფაქტი არ აღნიშნულა ქაღალდზე. ეს უკვე ჭვავის ყანაში თამაში კი არა, მის ქვემოთ ჩაყურსული უფსკრულის ძროა — ძირი...

**ცოოს** ავტორებს არ გააჩნიათ ის კვალიფიკაციები, რასაც შემოთავაზებული თემის ფესვების მოშიშვლება საჭიროებს. მათი მთავარი მიზანი ნარკოტიკით მომსპარი აღმოსავლეთ გერმანიის მოზარდი თაობის ჩვენებაა და ეს არ არის მხოლოდ გერმანიის გამთიშავი კედლის აღების მოტივაციით შემოგდებული დილემმა.



ტექნოლოგიითაა გაოხრებული ცოოს პერსონაჟები **ქრისტიანე** და მისი სატრფო **დეტლეფი**. მათთვის არ არსებობს სასეირნო სკვერები, მათთვის არ არსებობს სათამაშო მოედნები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები; ყველგან ბეტონია, ბეტონითაა ხელყოფილი მათი უცოდველი ბავშვობა. ისინი ჩაკეტილები არიან ლიფტებში, რათა მასთან ჯახანში გამოითავისუფლონ მოზღვავებული ბავშვური ენეგია და კიდევ — 30 მარკად ღირებულ ნარკოტიკის ულუფაში. და რადგანაც ყოველდღიურად 30 მარკის შოვნის წესიერი გზა არ გააჩნიათ, ეს მოზარდები თავფეხიანად გადაშვებულან გაუკუღმართებულ სექსუალურ ორგიებში, რათა ნარკოტიკული „ლომკებიდან“ გამოვიდნენ. ამასთან, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად განსხვავებულობის ხენეში კედელია აღმართული აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის — ერთგან განუკითხავი ნარკობიზნესი გაჩაღებულა თავისი მომაკვდინებელი შედეგებით, მეორეგან ცისფერი ოაზისის გარემოა დახატული, ამიტომაც ბებიამისთან იგზავნება ქრისტიანე სულიერი წონასწორობის აღსადგენად. აქ ქვეტექსტური სიძულვილია დემონსტრირებული სოციალისტური გერმანიის მოსაშთობად და არაფერია თქმული თუნდაც მინიშნების დონეზე, რომ სწორედ კაპიტალისტურმა გერმანიამ ააგორა კაცობრიობის თავზე ორგზის პირველი და მეორე მსოფლიო ომები, რომელთაც ჯერარნახული, ჯერარსმენილი დანაშაულებებით ხელი აღმართეს უფლის უმთავრეს ქმნილენაზე — **ადამიანზე**. აქ მიწასთანაა გასწორებული არა მხოლოდ ადამიანი თავისი უმაღლესი გამოსხივებებით — „ფაუსტებითა“ და „მთვარის სონატებით“, ზევსის ქანდაკებებითა და გიზის პირამიდებით, არამედ — თვით **ცაბაოთ-ღმერთი,** ვინაიდან ზეკაციის თეორიის ფუძემდებელმა **ნიცშემ** მკრეხელობაში გადაასწრო **იულიუს კეისარს** — კაცობრიული რუბიკონი გადალახა და **ღმერთი მოკვდაო,** დაახეთქა ნებისმიერი უზნეო ნაბიჯის გასამართლებლად. ამიერიდან არავინ განიკითხება ადამიანებისგან ზეზეურად გაზდილი ტყავის გამო თეთრთმიანი ფრაუების ხელჩანთებისათვის; ამიერიდან აღარავინ განისჯება ადამიანის სხეულის მასისგან სურნელოვანი საპნის წარმოებისთვის; ამიერიდან არავინ მოსთხოვს პასუხს ჯალათს კაცობრიობის წარუხოცველი დანაშაულის წილ — ანტისემიტიზმის, ებრაელობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გამო გერმანულ ოსვენციმებში, ბუჰენვალდებში, დაჰაუებსა თუ საბჭოურ გულაგებში — უჟლაგებსა და ვეტლაგებში ჩადენილი ბოროტებისათვის. ამასთან, არაფერი ითქმება იმის თაობაზეც, რომ სწორედაც ოლიგარქიული ფინანსური წყაროებით ემართებოდა ხელი ამ ომებს, ამ დამანგრეველ დანაშაულობებს; სწორედ ამ ფინანსებით სტიმულდებოდა დედამიწის პოტენციურად გამანადგურებელი მუხტის მქონე ატომური ბომბის წარმოება, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ნინო ჯიბუტი სამართალმცოდნეობის დოქტორია. იგი მოწინავე ევროპული უნივერსიტეტების ხელდასხმული გახლავთ და ზედმიწევნით ფლობს გაორებული მსიფლიოს აქილევსის ქუსლებს.

სამედიცინო გამოცდილებიდან ვიცით — ზუსტი დიაგნოზის გარეშე არ არსებობს წარმატებული მკურნალობა და ჩვენი საზოგადოების სულის მართებულ ტომოგრაფიად უნდა მივიჩნიოთ შემოთავაზებული წიგნი ნარკომან ბავშვებზე **ცოოს არეალიდან,** როგორც არსებული ვითარების უტყუარი სურათი და აწი ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გულისყურს გამოვიჩენთ მის გამოსასწორებლად. აღმოგვაჩნდება კი **ქრისტიანე ფ.-ს** — კონგენიალური დედის მეომრული შემართება, საკუთარი შვილის გადარჩენაში მარათონული ბრძოლის ის უნარი, რომელიც გაცილებით რთულია ნებისმიერი ქალისთვის.

**დასაწყისი იხ.**
„სგ“, N34-41, 2023 წ.;
N1, 2024 წ.

## 10 მარტი ნოდარ ჭითანავას დაბადების დღეა!



**88 წელი გასულა მას აქეთ, რაც ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშიდან ატყორცნილი ეს გვარ-სახელი - ნოდარ ჭითანავა, დროსა და სივრცეში მოგზაურობს, ათას ქარტეხილს შეუბღალავად გამორიდებული, რეგალიების ვრცელი ჩამონათვალის გარეშეც, სანთელივით ანათებს, ტოლუპოვარ კეთილშობილებას, უმწიკლო ღირსებას, უანგარო მსახურებას ახსენებს საზოგადოებას.**

**ნოდარ ჭითანავას განვლილი წლები სხივმოსილი ადანიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სანიმუშო მაგალითია. მან ორ მენტალურად განსხვავებულ - კომუნისტურ/საბჭოთა და საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში იმსახურა უმაღლეს პარტიულ/სამეურნეო თანამდებობებზე. ყველგან მაღალი პასუხისმგებლობით, თავდაუზოგავი შრომით, მაღალი კვალიფიკაციითა და უბადლო კომპეტენციით გამოირჩეოდა, გადაწყვეტილებებს დაფიქრებით, ქვეყნის კეთილდღეობისთვის მიზანშეწონილობაზე გათვლით იღებდა.**

**ყველაზე წარუშლელი კვალი მან მეცნიერებას, საკუთრივ, ეკონომიკის განვითარებას დაატყო. ამ დარგშიც მიაღწია ყველა უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს, წოდებას, თუ თანამდებობას. პროფესიული ინტუიციია, ცოდნაზე დაფუძნებული ცხოვრებისეული მდიდარი გამოცდილება არასდროს ღალატობდა.**

**ბატონი ნოდარი ახლაც რუდუნებით, დაუნჯებული გონიერებით, ქვეყნის განვითარების სტარტეგიის განსაზღვრის, გლობალურ გამოწვევებთან გამკლავების პერსპექტივის უზრუნველყოფის ფერხულში დგას.**

**სიმხნევეს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ ამაგდარ ადამიანს - ჩვენი დროის უდიდეს პოლიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს და მეცნიერს, იმზეგრძელოს მის თვალით დანახულ მარადიულ სამშობლოს კეთილდღეობასთან ერთად.**

**უღრმესი პატივისცემით:**

მიხეილ ჯიბუტი, მურმან კვარაცხელია,
გური ოტობაია, ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა.

ჩოხატაური, შუა ამაღლება, 10 მარტი, 2024 წელი.

# მწერლობა და ბედისწერა



დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. **„ნონფიქშენის“** სახელით ფეხმოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი საზოგადოებრივ ჟღერადობას იძენს. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, რაფიელ დანიბეგაშვილიდან და გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული. „ნონფიქშენის“ ძირები იძებნება პლატონის დიალოგებსა და ჯუმბერ თითმერიას ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტილკას მისდევს გური ოტობაიას მონუმენტური ხუთწიგნეული „შეუთავსებელთა შეთავსებაც“. ახალი რუბრიკის პირველი ავტორების, მწერალ — დავით შემოქმედელისა და პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო საუბარი, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბაასია ჩვენი ყოფიერების საჭირბოროტო საკითხებზე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენს პერიოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტის ტანდემური მარათონული სტუმრიანობა.

**თამარ ბერძენიშვილი**



დასასრული. „სგ“ N7-8

**გ. გ — და მაინც, როგორ მიგაჩნიათ, ერისა და ეთნოსის ასეთი განუყოფლობა უარყოფითი მოვლენაა ჩვენთვის თუ დადებითი?**

— ამგვარი ცნობიერება, ერთი მხრივ, ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გვიშლის ხელს შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო; ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ ხომ სახიფათო გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში მოქცეული ქვეყანა ვართ. მაგრამ აქვს დადებითი მხარეებიც. 1. ვართ მცირე ერი. 2. გლობალიზაციის პირობებში გვიწევს მასკულტურის შემოტევისაგან თავდაცვა. ამ დროს ეროვნულობისადმი მძაფრი ემოციური დამოკიდებულება ჩვენი დამცავი ფარია, რათა ეთნიკურმა ქართველებმა სულიერი იდენტობა შევინარჩუნოთ.

**დ. შ. — და კიდევ, მიმართება ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა; რა შედეგს მოგვცემს ამათი „აცდენა“.**

— ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების სინთეზი აუცილებელია, აქსიომაა და არაფრით მათი დანაწევრება არ შეიძლება. ადამიანში ეს ორივე ცნობიერება თანაბარი დოზით უნდა იყოს შერწყმული. სახელმწიფოც უნდა ეყრდნობოდეს გათანაბრებულ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. თუ მხოლოდ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას დავეყდნობით, მაშინ, შესაძლოა, მივიღოთ ზეძლიერი სახელმწიფო, მაგრამ ის არ იქნება ეროვნული, კარგი გაგებით, ნაციონალური ინტერესების გამომხატველი და ხელში შეგვრჩეს სახელმწიფო, როგორც ადამიანის ჩაგვრის, ადამიანის უფლებების დარღვევის მძლავრი სისტემა. სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით, 11 კატეგორიიდან საბოლოოდ მივიღებთ ან აბსოლუტურ მონარქიას, რომლის დროსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი მატარებელია სახელმწიფოს მეთაური — მონარქი, ან ავტოკრატიას, სადაც მთელი ძალაუფლება ერთ ადამიანს უკავია, ან დიქტატურას, სადაც დიქტატორი მართავს სახელმწიფოს, ან პლუტოკრატიას, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართავს გაბატონებული კლასის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. დაახლოებით ამგვარივეა ოლიგარქიული სისტემა. რაც შეეხება მარტო ეროვნულ ცნობიერებას, სახელმწიფოებრივი ცნობიერების უქონლად ის შეიძლება შევადაროთ დათვის სიყვარულს თავისი ბელისადმი, დათვისა, რომელსაც თავისი ნაშიერის მიმართ რაციონალური, გონისმიერი დამოკიდებულება არ გააჩნია. ზოოლოგები ადასტურებენ, რომ დათვს ისე ძლიერ უყვარს თავისი შვილი, რომ მოფერების დროს ვეღარ საზღვრავს, გუდავს და კლავს კიდეც საკუთარ შვილს. ჩვენი მსჯელობისას მოხმობილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს: ამ ორი ცნობიერებიდან ერთ-ერთის აშკარა პრიმატი როგორც ქვეყნის, ასევე თითოეული მოქალაქისათვის ცუდ ნიშნებს შეიცავს..

**გ. გ — საერთოდ ვერიდები, არ მიყვარს პოლიტიკაზე საჯაროდ ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც საუბარს მოჰყვა, ამასაც გკითხავთ: დავით, რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ბოლო სამი ათეული წელია, თითქმის ერთ ადგილზე დგას და არ იძვრის?**

**დ. შ.** — დიდი ინგლისელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი, ეპოქალური წიგნის „ლევიათანის“ ავტორი თომას ჰობსი სახელმწიფოს მანქანას ადარებს. ამ შედარების ახსნა ასე შეიძლება: მანქანის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ძრავი. თუ ძრავად გამოყენებული არ იქნება მაღალი ხარისხის ლითონი და იქნება სხვა რამ, მანქანა ვერ წავა. ასეა სახელმწიფოც. სახელმწიფოს ძრავი არის რეალური ძალის მქონე პოლიტიკური ლიდერები, ინტელიგენცია. ნამდვილი პოლიტიკური ძალის მქონე ერთეული გამონაკლისისის გარდა, ჩვენ გვყავან ფსევდოპოლიტიკოსები, ხოლო ჭეშმარიტი ინტელიგენციის სანაცვლოდ (აქაც რამდენიმე ღირსეული ინტელიგენტის გამოკლებით) — ფსევდოინტელიგენცია. ფსევდოს არ შეუძლია ნამდვილის შეცვლა. ამიტომაც გვაქვს ასეთი შენელებული დინამიკა სახელმწიფოს წინ მოძრაობისა. უფრო სწორად, ჩვენ გვიდგას ლექის აღზევების ჟამი, როცა ლექის დიდი ნაწილი თავშია მოქცეული, ხოლო ნაწილი ერის უმეტესი ჯანსაღი საუნჯისა, მისი ღირსეული ინტელიგენციისა ქვემოთ არის დატანილი.

**გ. გ. — ჰუმანიტარები კი ვართ, მაგრამ ჩვენს საერთო გასაჭირზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ბოლო სამი ათეული წელია, ვერ იქნა და ეკონომიკურად წელში ვერ გავიმართეთ. რა არის ამის მიზეზი?**

**დ.შ.** — მიზეზი ბევრია, ძირითადად შიგაეკონომიკური პრობლემები, მე სხვა მხრივ გავამახვილებ ყურადღებას. გლობალიზაციას, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის ეკონომიკასაც, ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ჩვენი უახლოესი ისტორიიდან ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია – თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა იმ დროისათვის მეტად რეკლამირებული მსოფლიო სავალუტო ფონდის პრეზიდენტი შადმან ვალავი. ხალხი დიდი იმედებით ელოდა ამ მოვლენას. სავალუტო ფონდის თავმჯდომარემ მთავრობის წევრებთან, ოპოზიციასა და ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებთან დახურულ შეხვედრაზე პირდაპირ და დაუფარავად მოითხოვა: საქართველომ უარი უნდა თქვას სამამულო პროდუქციის წარმოებაზე, სანაცვლოდ ჩვენ მოგამარაგებთ უცხოეთიდანო. ფაქტობრივად გვეუბნებოდა, რა საჭიროა სხვადასხვა კულტურის განაშენიანება, მოყვანა, თუნდაც ვაზის, შეგიძლიათ აჩეხოთო. იქ მსხდომთაგან მხოლოდ გოგი თოფაძე გამოვიდა მცირე კრიტიკით, სხვას კრინტიც არ დაუძრავს. ამის შემდგომ სავალუტო ფონდის თავმჯდომარე სამუშაო ვიზიტით მეზობელ სომხეთში ჩავიდა. იქაც იმავენაირად მოიქცა, შეკრიბა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ელიტა და იმათაც იგივე განუცხადა. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მხცოვანმა აკადემიკოსმა ეგიზარიანმა თავი ვერ შეიკავა და სტუმარს საფერფლე ესროლა. შადმან ვალავს მალევე დაატოვებინეს სომხეთი. მიჭირს ამისი ხმამაღლა თქმა, მაგრამ, მიუხედავად ქმედების მიუღებელი ფორმისა, სომეხი მეცნიერის საქციელი იყო ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესით მოტივირებული ქმედება. დასკვნის სახით მოვუსმინოთ ეკონომიკის სფეროში მსოფლიოში დიდ ავტორიტეტს — ჯოზეფ სტიგლიცს, ნობელის პრემიის ლაურეატს ეკონომიკის დარგში, აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარესა (1995-1997 წ.წ.) და მსოფლიოს ბანკის ვიცე-პრეზიდენტს (1997-2000 წ.წ.): „გლობალიზაციის დოქტრინა არის ლამაზად შეღებილი ფასადი, რომლის საშუალებითაც იგი თავის ამა თუ იმ მსხვერპლს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ამშვიდებს და მისი ყურადღება გადააქვს სხვა თემებზე, მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს რესურსებისგან ფიტავენ და ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომ ვერასოდეს შეძლონ იმპერიული ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა“.

**გ. გ — დავით, გვერდს ვერ ავუვლით ჩვენი ისტორიული მტრის — რუსეთის იმპერიის — შესახებაც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.**

**დ. შ.** — საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა რუსეთს სამოქმედო დევიზად ატაცებული საშიში ცრუმესიანისტური სიტყვები: „ვლადიკავკაზ“, „ვლადივასტოკ“ „ვლდიმირ“. დაიპყარი კავკასია! დაიპყარი აღმოსავლეთი! დაიპყარი მსოფლიო! რუსეთის მზაკვრული სახის საჩვენებლად ის დოკუმენტიც საკმარისია, ოდესღაც რომ საქართველოში გამოაგზავნა. მხედველობაში მაქვს რუსეთის მთავრობის საიდუმლო წერილი, რომელიც გრაფ ნ. პანინის ხელით საქართველოში მყოფ ტოტლებენს მიართვეს. „უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, ყველაფერი ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდეს. თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომ ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური, ე. ი. რუსული, იყოს, სხეული კი — ქართული“ (ივანე ჯავახიშვი-ლი, წიგნიდან — „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“. რუსეთი ხომ მესამე რომად არის სახელდებული. ეს სახელწოდება მეთექვსმეტე საუკუნის მოღვაწე ფსკოველ ბერს ფილოპის ეკუთვნის. იგი რუსეთის დიდ მთავარ ვასილი მეორეს სწერდა: „ორი რომი თუ დაეცა, მესამე რომი დგას (მესამე რომი მოსკოვია), ხოლო მეოთხე აღარ იქნება“. საქართველო რუსეთის ისტორიულ დამოკიდებულებას ერთ ანეთთან შუმერისა და გუთიელის ტომის ურთიერთობას შევადარებდი. გადავიხედოთ უკან, პრეისტორიაში. სამყაროს უძველესი ერის, შავთავიანებად წოდებული შუმერის ისტორიულ ყოფაში. მაშინ, როცა შუმერი კულტურულად დაწინაურებული იყო, დაიპყრო კაცობრივ თვისებებს მოკლებულმა ტომმა გუთიელმა, რომელიც ისტორიკოსების მიერ ასე იწოდებოდა „შხამიანი გველეშაპი ღმერთების წინააღმდგომი, შუმერში მტრობის ჩამომგდები“ აი, ასეთმა ტომმა იბატონა შუმერზე მთელი ორასი წლის განმავლობაში, მოშალა ცხოვრების შინაგანი ყოფა, წარიტაცა მეფობა, მაგრამ მოხდა პარადოქსული რამ, არა კონფორმიზმი, არამედ უდიდესი შინაგანი გამოღვიძება და კულტურული აღმავლობა. ამ ორი ბნელი საუკუნის შემდეგ, კაცობრიობის სამყაროში გამოდის შუმერი ცალკე სახელმწიფოებრივად დაწინაურებული. აი, ასეთივე ძალმოსილება გვმართებს ჩვენც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიოს „მესამე რომის“, ანუ კაცობრიობის ურჩხულის, დაცემას მოვესწრებით.



**გ. გ — გამოდის, რომ ჩვენს პლანეტაზე ძალადობა და სიძულვილი მძლავრობს სიყვარულსა და ზნეობაზე.**

**დ. შ** .— დიახ. ამერიკელი ასტრონავტი **ნილ არმსტრონგი** წერდა: „მე რეალისტი ვარ და არ ვარ ზედმეტად მგრძნობიარე. როცა მამისეული სახლი დავტოვე, არ მიტირია. როცა მამაც დავკარგე, არც მაშინ მიტირია. როდესაც პირველად ფეხი დავადგი მთვარეზე, არ მიტირია, მაგრამ, როცა ზემოდან გადმოვხედე დედამიწას, სული შემეკრა და ავტირდი. როცა მთვარიდან გადმოვხედე დედამიწას და დავინახე პატარა ცისფერი ბუშტი, ავტირდი….მაშინ ვიგრძენი, რომ ეს ცისფერი ბუშტი იყო ჩვენი პატარა სახლი, სადაც ჩვენ, სიძულვილით დაბრმავებული ადამიანები, ერთმანეთის აუტანლობით გამუდმებულ ომებში ვიძირებით“.

# მიხეილის კვანძი



11 გვ.

დის მართვის მექანიზმის - პედლის დასაუფლებლად, მაგრამ ერთ-ერთი „გამარჯვებული“ მაინც უძლური იქნება, მართოს ველოსიპედი, რადგანაც საჭესთან იგი მოუხერხებლად, ზურგშექცევით ზის. საჭესთან ზურგშექცევით დამონტაჟებული სკამი მას არ მისცემს საშუალებას, ველოსიპედი ნორმალურად მართოს და წინ იმოძრაოს.

ერთი სიტყვით, ურთულესად დახლართულ ველოსიპედში გამოუვალი მდგომარეობა ჩანს და მასში სწორედ, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, მოაზროვნე მკითხველი უკვე მოჯადოებულ წრესა და ჩვენი ქვეყნის უბედურებას ამოიკითხავდა. ველოსიპედ-კვანძში კარგად ჩანს ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში არსებული სამწუხარო რეალობა:

**ველოსიპედი-საქართველო; ველოსიპედზე ორი სკამი - ერთიმეორის საწინააღმდეგოდ განთავსებული - ეს არის ორი მთავარი პარტია, „ნაც. მოძრაობა“ (თავისი სხვადასხვა პარტიებით) და „ქართული ოცნება“. ველოსიპედზე მართვის ერთი მექანიზმი, პედალი - ეს არის საქართველოს პარლამენტი. ბრძოლა მართვის მექანიზმის დასაუფლებლად ორ „ველოსიპედისტს“ - ანუ ორ მთავარ პოლიტიკურ ძალას შორის პარლამენტში ძალაუფლებისათვის. ვხედავთ, რომ მრავალი წლების განმავლობაში ბოლო აღარ უჩანს და მოჯადოებულ წრეზე უსასრულოდ გრძელდება.**

მთავარი დედა აზრი არის ის, რომ ორი ველოსიპედისტისაგან ნებისმიერის გამარჯვების შემთხვევაში, ვინც უნდა დაეუფლოს ველოსიპედის მართვის მექანიზმს, ველოსიპედი წინ მაინც ვერ წავა - ანუ ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალისაგან, ნებისმიერის გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანა წინ ვერ მიდის.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ველოსიპედი არ ასრულებს თავის იმ ფუნქციას, რასაც, წესით, ველოსიპედი უნდა ასრულებდეს, რადგანაც ვიცით, რომ ველოსიპედი ეს არის მსოფლიოში ჯანსაღი ცხოვრების წესის და ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალების სიმბოლო. იგი ასრულებს „უძრაობის სიმბოლოს“ და „მოჯადოებული წრის“ ფუნქციას, რადგანაც იგივე მდგომარეობაა ქვეყანაში, მის საკანონმდებლო ორგანოში, რომლის სახესაც „ველოსიპედი“ წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ეს ქაოსურად შექმნილი კონსტრუქცია არ არის,



არამედ, როგორც მისმა დეტალურად აღწერამ გვიჩვენა, გააზრებულად არის დალაგებული და ერთი შეხედვით გაურკვეველ კვანძს წარმოადგენს.

აი, ასე გვაქვს ქვეყანაში „მოჯადოებული წრე“, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი ხდება.

საგანგაშო მდგომარეობა ყოველთვის არ ნიშნავს სამწუხარო დასასრულს.

აქედან გამომდინარე, ჩვენს შემთხვევაში რაშია გამოსავალი? ან არის, საერთოდ, გამოსავალი?

როგორც ვნახეთ, „მიხეილის კვანძის“- უცნაური ველოსიპედის შინაარსი გარკვეულია. მაგრამ „გორდიას კვანძის“ გადაჭრის ისტორიისგან განსხვავებით, „მიხეილის კვანძის“ მხოლოდ თეორიული შინაარსია გახსნილი, თვით საკითხი კი გადაუწყვეტელი, ჯერ გადაუჭრელი რჩება.

ვიდრე კვანძის გადაჭრის საკითხზე და მოჯადოებული წრის საბოლოო გარღვევაზე ჩემეულ დასკვნას მოვახსენებდე მკითხველს, ვნახოთ, თუ რამ განაპირობა თავის დროზე აღნიშნული „უძრაობის სიმბოლოს“ საქართველოს მთავარ მოედანზე აღმართვა, რომელიც დღემდე წარმატებით ემსახურება საქართველოს არაკეთილ მოსურნეთა ინტერესებს.

სიმბოლოების წარმოშობის ისტორია უძველესი დროიდან, ადამიანის გაჩენიდან იღებს სათავეს და მას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა, როგორც კეთილი, ასევე ბოროტი მიზნებისათვის სხვაზე გავლენის მოსახდენად. ასეთი დამოკიდებულება სიმბოლოების მიმართ, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, სხვადასხვა ერებში დღემდე არის შენარჩუნებული თავისი სპეციფიკურობების მიხედვით, როგორც ოფიციალურ, ასევე ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის.

მაგიას, ზებუნებრივ მისტიკურ ძალებს, კეთილი და ბოროტი მიზნებით, შელოცვებითა და სხვადასხვა ფორმის სიმბოლოების ტარებით, ან განსაკუთრებულ ადგილებზე აღმართვით, მიმართავდნენ როგორც მეფეები, მთავარსარდლები, სახელმწიფოს მართველები, ასევე რიგითი ადამიანები.

ეს საკითხი დიდი თემაა, ამიტომ დავუბრუნდეთ განსახილველ თემას.

„უძრაობის სიმბოლოს“ მთავარი შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები, როგორც თვითმხილველები მოწმობენ, თავის დროზე ასევე გამოირჩეოდნენ წინასწარმეტყველებთან (მარჩიელებთან) ვიზიტებით... არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც უძველესი დროიდან ასე იყო, მეფეები, პოლიტიკოსები მთავარსარდლები ყოველთვის მიმართავდნენ ამ საშუალებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების წინ.

როგორც ვხედავთ, სააკაშვილის გუნდმა, რომლის წევრებიც სხვა ქვეყნების ინტერესებს უფრო ემსახურებოდნენ საქართველოში ვიდრე ქართველი ხალხისას და ყველაფრის რეფორმატორად მოევლინნენ ქვეყანას, აქაც, მარადიული წინსვლისა და კეთილდღეობის სიმბოლოს საპირისპიროდ, „უძრაობის, უმოქმედობის და დაცემის სიმბოლო“ ქვეყნის მთავარ მოედანზე აღმართეს.

ისმება მთავარი კითხვა: თუ ეს მართლა ასეა, რატომ გამოიჩინეს ასეთი ბოროტება თავიანთი ხალხის მიმართ, ისინი ხომ ამ ქვეყნის შვილები არიან?

ამ ურთულეს კითხვაზე პასუხის გასაცემად გადავხედოთ ისტორიას.

ყველა დროის სასტიკი დამპყრობლებს, ვინც ამა თუ იმ ქვეყნის საბოლოოდ დამორჩილებას ცდილობდნენ, ერთი განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდათ: ისინი ქვეყნის დაპყრობას და ხარკის დადებას არ კმაყოფილდებოდნენ. ამასთან ერთად, ცდილობდნენ დაპყრობილი ერების დამცირებას, დაკნინებას, პიროვნული და ეროვნული ღირსების წართმევას, რადგან ღირსებადაკარგული კაცი ადვილად ეჩვევა ბედს, ყიდის ყველას და ყველაფერს...

მიხეილ სააკაშვილმა, მართალია, ამ ქვეყნის შვილმა, მაგრამ სხვა ქვეყნის ინტერესებისათვის ქართულ პოლიტიკაში მოვლენილმა, სწორედ ეროვნული ღირსების დაკნინებით დაიწყო თავისი ბოროტი ზრახვების განხორციელება და ამისთვის ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, დავით აღმაშენებლის ძეგლი - „ქვეყნის აღმშენებლობის და ერთიანობის“ სიმბოლო, ქვეყნის მთავარ მოედანზე „უძრაობის სიმბოლოთი“ ჩაანაცვლა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნისათვის მთავარ მოედანს, როგორ მდგომარეობაშია ის, რას ემსახურება იქ აღმართული სიმბოლოები - ქვეყნის აღმშენებლობას და ერთიანობას, თუ უკუსვლას, ერის დამცირებასა და დაკნინებას.

**ღმერთმა დალოცოს, დაიფაროს და გაამთლიანოს საქართველო!**

**დიდი სიყვარულით თქვენთვის მლოცველი**

ემიგრანტი (ბერი)
07.03.2024 წელი

დასასრული იქნება



**ჩვენს უფროს ძმასა და მეგობარს, დამსახურებულ მეტროპოლიტენელს 55-წლიანი უწყვეტი სამუშაო სტაჟით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფის „ელმომარაგების სამსახურის ტელემართვის“ უბნის ხელმძღვანელს, უბადლო სპეციალისტს, მრავალი თაობის აღმზრდელსა და დამრიგებელს, ამავდროულად, სამშობლოს სვე-ბედზე დღენიადაგ მოფიქრალ თხემით-ტერფამდე ქართველ კაცს, ტურფა იმერეთის სასახელო შვილს**

**რევაზ თინიკაშვილს**

**ვულოცავთ სანუკვარ თარიღს, „ორი რვიანის“ შესრულებას და ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ვუსურვებთ, გაეუმჯობესებინოს დღეგრძელობისა და შრომისუნარიანობის რეკორედი, არამხოლოდ მეტროპოლიტენის, არამედ, სრულიად საქართველოს მასშტაბით.**

**ის ამას იმსახურებს და ამით უამრავი ადამიანი გულწრფელად გაიხარებს.**

**კოლეგებისა და მეგობრების სახელით:**

**ჯუმბერ შადური, თამაზ შათირიშვილი, ლადო ლაღიაშვილი.**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99